# საერთო გაზეთი

№10 (560) • 25 მარტი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## თქვე ფარისევლებო, ახლა მაინც ხომ უნდა მიხვდეთ, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი საქართველოსთვის?



## გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში

**ნოდარ ჭითანავა:** საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ - ასეთია ჩვენი ბედისწერა



## დიმიტრი ლორთქიფანიძე: რისი უნდა გვეშინოდეს? უფალთან მისვლის?



## ვილოცოთ! ვილოცოთ! ვილოცოთ!

მაგრამ ვილოცოთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ვილოცოთ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ღვთისმშობლის ქვეყანაში აღვლენილ ლოცვას სხვა ძალა, სხვა ენერგია, სხვა მადლი აქვს და ის უფრო ადვილად მისწვდება ღმერთის სმენას.

ვილოცოთ და ღმერთს შევთხოვოთ კაცობრიობის გადარჩენა.

ეს იქნება საქართველოდან გაგზავნილი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ფასდაუდებელი „ექსპორტი“ დანარჩენი მსოფლიოსთვის.

## თათა ვარდანაშვილი: ადამიანს მთელი ცხოვრება დედის მადლი უნდა დაჰყვებოდეს



## თენგიზ ცერცვაძე: იმას, რაც ტრამპმა თქვა, ჩვენ უკვე თვენახევარია ვაკეთებთ



## საით წაიყვანენ მსოფლიოს „მსოფლიო მამები“?

## ომი ზეცაში უკვე დაიწყო...

## ტრაქტატი ლორობის წინააღმდეგ

## „პაშოლ, ვასია, პაშოოოოლ“!!!



# რედაქტორის გვერდი



**ვახტანგ ხარჩილავა**

— უცებ დადგა ჟამი ურწმუნოთა და ულმერთოთა მოქცევისა, ფარისეველთა მხილებისა და ამპარტავანთა ქედდადრეკისა, — ასე დაწერს ალბათ მემატიანე 2020 წლის გაზაფხულზე მომხდარი მოვლენების შესახებ.

კორონავირუსის სახით მოვლენილმა განსაცდელმა მართლაც უცებ, ერთბაშად შეცვალა მთელი კაცობრიობა და მსოფლიო ახალი დღის წესრიგზე, ურთიერთობათა ახალ წესებზე და ფორმებზე გადაიყვანა.

თუ ამ ნორმებიდან გადაუხვევ, განადგურდები.

დღეს მთავრობები და ხელისაზღვრებს ხელახლა ავლებს და ადამიანებს თავიანთ მივიწყებულ და მიტოვებულ სამშობლოებში აბრუნებს.

ვირუსი კი არა თითქოს კოსმოსიდან გამოგზავნილი უხილავი ზედამხედველია, რომელიც უზენაესი შემოქმედის და კანონმდებლის ინსტრუქციებს და დირექტივებს ასრულებს.

— ზემძლავრი სახელმწიფოს, აშშ-ს პრეზიდენტმა ტრამპმა ლოცვისკენ მოუწოდა თავის მოქალაქეებს, რითაც, ფაქტობრივად აღიარა, რომ ის უმძლავრესი სახელმწიფო მანქანა, რომელზეც დგას ეს ზესახელმწიფო, შეიძლება უძლური აღმოჩნდეს ამ უხილავი ძალის წინაშე და ამიტომ ღმერთს უხმო საშველად.

ამ ორიოდე დღის წინათ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ათზე მეტი ადამიანის ერთად თავშეყრა აიკრძალა, მათ შორის აიკრძალა ეკლესიებშიც, რაც ვიღაც-ვიღაცების მიერ მართლმადიდებლური რელიგიის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებად შეფასდა, თუმცა თავად ეკლესიამ სრულიად ადექვიცხოვრეთ და მაინც ქრისტიანებად დავრჩით.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ათასნაირი შტამის „კორონავირუსი“ გვიტევდა ზოგს მურვან-ყრუ ერქვა, ზოგს ჯალალედინი, ზოგს — შაჰ აბასი, მაგრამ გავუძელით და ამ ახალი ტიპის კორონავირუსსაც გავუძლებთ, თუ ერთ მთავარ დათქმას დავიცავთ — ვიქნებით ქართველები! ეს კი არც ისე ადვილი და მარტივია, როგორც ზოგს ჰგონია.

ღამურას სინდრომით შეპყრობილ ქართველთა ერთ ნაწილს რატომღაც ჰგონია, რომ კარგია და მისასალმებელია, რაც უფრო ნაკლებად იქნებიან ქართველები და რაც უფრო მეტი დოზით იქნებიან ვთქვათ და, ევროპელები.

— მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი! — ეს გამოთქმა ლამის არის საუკუნის ფრაზად იქცეს.

არადა, მე ვარ ქართველი, იმას ნიშნავს, რომ მე არ ვარ ევროპელი, არ ვარ ამერიკელი, მე ქართველი ვარ!

ყური მიუგდეთ რას უწოდებს საკუთარ თავს ეს ჩვენი უბედურ დღეზე გაჩენილი ე.წ. ოპოზიცია.





**ვილოცოთ!**

**ვილოცოთ, არა მხოლოდ ეკლესიაში, ვილოცოთ სახლში, სამსახურში, ყანაში, ზვარში, ვილოცოთ ყველგან, მაგრამ ვილოცოთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არა მხოლოდ საკუთარი ოჯახისთვის, არა მხოლოდ ახლობლებისთვის და ნაცნობ-მეგობრებისთვის, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ვილოცოთ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ღვთისმშობლის ქვეყანაში აღვლენილ ლოცვას სხვა ძალა, სხვა ენერგია, სხვა მადლი აქვს და ის უფრო ადვილად მისწვდება ღმერთის სმენას.**

**ვილოცოთ და ღმერთს შევთხოვოთ კაცობრიობის გადარჩენა.**

**ეს იქნება საქართველოდან გაგზავნილი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ფასდაუდებელი „ექსპორტი“ დანარჩენი მსოფლიოსთვის.**

სუფლებები კი არ კარნახობენ მოსახლეობას თავიანთ წესებს და ნორმებს, არამედ იმ წესების და ნორმების შესრულებას ცდილობენ, რომელსაც კორონავირუსი კარნახობს.

დღეს კორონავირუსია მსოფლიოს ხელმწიფე და მმართველი და არა მეფეები, არა იმპერატორები, არა პრეზიდენტები, არა პრემიერ-მინისტრები.

კორონავირუსი ალაგებს ადამიანების მიერ არეულ-დარეულ სახლს — დედამიწას, გაუქმებულ ვატურად მიიღო მთავრობის ეს გადაწყვეტილება და მის შესასრულებლად კონკრეტული ღონისძიებებიც დასახელდა.

ცხადია, ვერც ადმინისტრაციული აქტების და კანონების გამკაცრებით, ვერც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით ქრისტიანულ რწმენას და მრწამსს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

ერთთვიანი საგანგებო რეჟიმის კი არა სამოცდაათწლიანი საგანგებო რეჟიმის პირობებში



რას უწოდებს და, არც მეტი, არც ნაკლები — პროდასავლურ ოპოზიციას.

იქნებ გამაგებინოს ვინმემ — რას ნიშნავს პროდასავლური ოპოზიცია და რაზე მიანიშნებს, რას უსვამს ხაზს ეს ტერმინი — პროდასავლური?

კორონავთირუსმა მძიმე დარტყმა მიაყენა ამ თვითმარქვია პროდასავლურ ოპოზიციას — ახლა ძველებურად ვერ ირბენენ საზღვარგარეთ საკუთარი ქვეყნის დასასმენად და ჩასაშვებად. ძველებურად ვერ მოქრთამავენ ვიღაც-ვიღაცებს და დემაგოგიურ ტექსტებს ვერ დააწერინებენ. თუ გარისკავენ და მაინც წავლენ, უკან მობრუნებულებს ორკვირიანი კარანტინი ელოდებათ, ამიტომ ტაქტიკა შეცვალეს და თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს ძაან, ძაან შესტკივათ გული ქართველ ხალხზე და საქართველოზე და ახლა კონსტრუქციული, სახელმწიფოებრივად მოფიქრალი პოლიტიკური ძალის როლის მორგებას ცდილობენ.

აქამდე თუ პროდასავლურობის ნიღაბს ეფარებოდნენ, ახლა კორონავირუსს ამოფარებულნი ლამობენ პოლიტიკური დივიდენდების მოხვეჭას და ქართველი ხალხის სულსა და გონებაში შემოვირუსშემოინფექცირებას.

ქართველი ხალხი ამ კორონავირუსსაც დაამარცხებს და იმ კორონავირუსსაც, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია.

საქართველო კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვა ამ განსაცდელიდან.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ღმერთი არ გაგვწირავს! — თქვა ამასწინათ ქალბატონმა მარინა ეზუგბაიამ, ექიმმა, რომელიც, სხვა ქართველ ექიმებთან ერთად, ნამდვილი გმირია.

ამ ფრაზით ქალბატონმა მარინამ კიდევ ერთხელ მიგვანიშნა, რომ საგანგებო წესების დაცვაც საჭიროა, სოციალური დისტანცირებაც, კარანტინიც, მაგრამ ამასთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს: ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რაც განსაკუთრებულ მისიას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვანიჭებს.

ვილოცოთ!

ვილოცოთ, არა მხოლოდ ეკლესიაში, ვილოცოთ სახლში, სამსახურში, ყანაში, ზვარში, ვილოცოთ ყველგან, მაგრამ ვილოცოთ არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არა მხოლოდ საკუთარი ოჯახისთვის, არა მხოლოდ ახლობლებისთვის და ნაცნობ-მეგობრებისთვის, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ვილოცოთ მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ღვთისმშობლის ქვეყანაში აღვლენილ ლოცვას სხვა ძალა, სხვა ენერგია, სხვა მადლი აქვს და ის უფრო ადვილად მისწვდება ღმერთის სმენას.

ვილოცოთ და ღმერთს შევთხოვოთ კაცობრიობის გადარჩენა.

ეს იქნება საქართველოდან გაგზავნილი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ფასდაუდებელი „ექსპორტი“ დანარჩენი მსოფლიოსთვის.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# თქვე ფარისევლებო, ახლა მაინც ხომ უნდა მიხვდეთ, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი საქართველოსთვის?

ამ დღეებში ნიკო გვარამიას საკანალიზაციო არხს, თვითონ „მთავარს“ რომ უწოდებს, შეკითხვები გაუჩნდა, სად არის ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ გამოდის და ხალხს არ ამშვიდებსო? ეს ჩემისები, ცოტა ხნის წინ იძახდნენ, ბიძინა უნდა მოვიშოროთო, უნდა გავაძევოთო, თან დავიჭიროთო, ახლა იძახიან, სად არი, რატომ არ გვამშვიდებსო?!

თუმცა, ბატონებო და ქალბატონებო, ვინ აცადა ბიძინა ივანიშვილს, რომ გამოსულიყო და ვინმე დაემშვიდებინა? აგერ, გამოვარდა ნათელაშვილი და განაცხადა:

„საქართველოს უამრავი ჭირიანობა გადაუტანია, მაგრამ ჩვენ არ გადავშენებულვართ. არავითარი სერიოზული საშიშროება ეს ვირუსი არ არის, ჩვეულებრივი გრიპია, ოღონდ ახალი სახით. ჩვეულებრივი გრიპით მარტო ამერიკაში სეზონზე კვდება 53 000 ადამიანი, ხოლო 49 მილიონმა ამერიკელმა იავადმყოფა გრიპით. ეს არის გრიპებს შორის ყველაზე იოლი ფორმა, ახალი ხილია და ამის გამო არის აჟიოტაჟი წამოსული. ჩვენ არ უნდა გადავაქციოთ ეს რაღაც ტრაგედია ფსიქოზად და მით უმეტეს, მთავრობამ არ უნდა გამოიყენოს თავისი ეკონომიკური თუ რაღაც სხვა გეგმების შესასრულებლად. ერთი-ორი კვირა და აპრილისთვის ეს პანდემია ჩაქრება და ჩვენ დავრჩებით იმ ბოსელში, რომელიც ივანიშვილმა აგვიშენა და ეს ბოსელი ჩვენი დასანგრევია. ვერავითარი პანდემია ამაში ხელს ვერ შეგვიშლის. ბევრი დაავადება არის, რომელიც იწირავს ადამიანებს, იშემიური დაავადებით წელიწადში 16 მილიონი ადამიანი კვდება და საქართველოში პროცენტულად ძალიან ბევრი. ხელისუფლება თუ დაფიქრებულა, რომ დაეხმაროს და დადგას დეფიბრილატორები, გულის ასამუშავებელი აპარატურა ხალხმრავალ ადგილებში, სტადიონებზე, პროსპექტებზე, თეატრებში. კარგად გვახსოვს, მუხრან მაჭავარიანს არითმია დაემართა სცენაზე და იქ რომ ყოფილიყო აპარატი, ეს გენიოსი ცოცხალი იქნებოდა“.

სხვათა შორის, ამ ადამიანშიც არის რაღაც რომანტიკულ-გენიოსური. თან გვამშვიდებს, ეგ არაფერი არ არიო, ჩვეულებრივი გრიპიაო, თან მთავრობას ურტყამს, ეხლა ეს მომენტი არ უნდა გამოიყენონ ეკონომიკური რაღაცებისთვის, თორემ ივანიშვილის ბოსელში დავრჩებით, რომელიც ჩვენი დასანგრევიაო, ვერავითარი პანდემია ამაში ხელს ვერ შეგვიშლისო. იცით, რაო? კორონა კი არა, ხელისუფლება იმაზე თუ დაფიქრებულა, დადგას გულის ასამუშავებელი აპარატურა ხალხმრავალ ადგილებში, სტადიონებზე, პროსპექტებზე, თეატრებში. კარგად გვახსოვს, მუხრან მაჭავარიანს არითმია დაემართა სცენაზე და იქ რომ ყოფილიყო აპარატი, ეს გენიოსი ცოცხალი იქნებოდაო.

ნათელაშვილს აქ მთავარი დაავიწყდა, მუხრან მაჭავარიანი გარდაიცვალა 2010 წლის 17 მაისს. ამ დროს საქართველოში მეფობდა გარეკილ პირველი (მიხო სააკაშვილი). ჰოდა, რას ეჩხუბება შალიკო ბიძინას, გულის ასამუშავებელი აპარატები რატომ არ დაამონტაჟე ყოველ ნაბიჯზეო, წესით მიხოს არ უნდა ეჩხუბოს? თუმცა ჩვენ აქ უნდა გაგვახსენდეს იგივე შალიკოს ნათქვამი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გიგი უგულავას უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, კორუმპირებულს უწოდებდა, დღეს კი პატიოსან პოლიტიკოსად ნათლავს: „გუშინ იყო ასე, დღეს არის ისე, ხვალ თუ იქნება სხვანაირად, შეფასებაც იქნება სხვანაირი“.

ნახეთ, რა ლამაზი განმარტებაა, პოეზიაა პირდაპირ, რომელიც ზედმიწევნით ესადაგება ჩვენი წინაპრების მიერ გამოთქმულ სიბრძნეს – „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

როგორც ყველა მედალს, კორონასაც აქვს ორი მხარე – დადებითი და უარყოფითი. რაკი უარყოფითის შესახებ უკვე ბევრი რამ ვიცით, ახლა ვილაპარაკოთ დადებითზე:

პირველი – ჩვენ უკვე დავდექით აუცილებელი რეალობის პირისპირ, ამიერიდან უნდა მივხედოთ დაუმუშავებელ მიწებს, ვხნათ, ვთესოთ და მოვიყვანოთ სარჩო-საბადებელი, ირანიდან, ჩინეთიდან და სხვა საეჭვო ქვეყნებიდან შემოყრილი პროდუქციით ფონს ველარ გავალთ. არ დაიჯერებთ, ჩვენში უკვე გამოჩნდნენ „ინიციატორები“, რომლებიც აცხადებენ, ხელისუფლებამ ნება იბოძოს, ახლა მოგვიხნას, დაგვითესოს, მოსავალიც აგვიღოს და გვაჭამოსო. უკაცრავად, შეიძლება ხელისუფლება დაგვეხმაროს, მაგრამ მთლად ასეც არ გამოვა, უნდა ავწიოთ გაზარმაცებული ტრაკები და მივხედოთ საკუთარ დედულ-მამულებს. მორჩა, ეს ამბავი გადაწყვეტილია!

მეორე – აშკარად გამოჩნდა ამ ხელისუფლების დადებითი მხარე – ორგანიზებულობა, ნიჭი, შრომისმოყვარეობა და მონდომება. საპნის ბუშტივით გაქრა „ნაციონალების“ მიერ შემოგდებული მითი დღევანდელი მთავრობის უნიათობის თაობაზე. ამ მხრივ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ვინც ფეხს გამოყოფს ხოლმე კუსავით და რაღაც ისეთს დააბრეხვებს, უთუოდ იმსახურებს საზოგადოების რისხვას. მესამე – კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია. ვინაიდან, ისედაც გაფარჩაკებული ე.წ. ოპოზიცია სრულად ჩაფლავდა, „ქართული ოცნება“ იგებს დიდი უპირატესობით!

მეოთხე – აქ ჩვენ მივადექით მთავარს და უმთავრესს, ანუ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს. ამ ძნელბედობის ჟამს თითქმის ყველამ დავინახეთ, რომ ამ ქვეყანას ჰყავს უძლიერესი პატრონი. დიახ, ამ ძნელბედობის ჟამს ყველამ დავინახეთ, რომ როცა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის, ყველაფერი კარგად მიდის. ზემოთაც აღვნიშნე, დღეს ქვეყნის მტრები, „ნაციონალებიც“ კი „სწუხან“, სად არის ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ გამოდის და რატომ არ გვამშვიდებსო? ერთია დამშვიდება, მეორეა – ფინანსური უზრუნველყოფა. აგერ, პირველივე დღეებში გამოაცხადა „ქართუ ჯგუფმა“, თუ სახელმწიფოს არ ეყოფა ფინანსები, ნებისმიერი თანხებით დავეხმარებითო. ეს რომ ბიძინა ივანიშვილის სურვილი გახლდათ, ყველამ კარგად ვიცით. აჰააა... თურმე ძალიან კარგი ყოფილა, როცა სახელმწიფოს ზურგს ისეთი ადამიანი უმაგრებს, როგორიც ე.წ. „რუსი ოლიგარქია“, არა? უკაცრავად და... ამ დღეებში აღარ მესმის ასეთი შეფასებები, პირიქით, თურმე გრიგოლ ვაშაძე და „ნაცები“ აღარ გვიპირებენ ნაკერავზე გახევას, თურმე კრიტიკისგანაც თავს იკავებენ, ახლა ხელისუფლებას გვერდში დგომა სჭირდებაო. სასაცილოა პირდაპირ, ხელისუფლებას გვერდში დგომა სჭირდება, აღარ გავაკრიტიკებთო. სულ ეს არის? დიახ, როგორც ვხედავთ, სულ ეს არის, დღემდე მაგათ და მაგათთან ასოცირებულ ბიზნესმენებს ერთი თეთრიც კი არ გაუღიათ. ვინც გაიღო, მაგალითად, მამუკა ხაზარაძემ (100 ათასი ლარი), იმდენად სასაცილოა, საერთოდ რომ არაფერი გაეღო, უკეთესი იქნებოდა.



მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გაჭირვების ჟამს ძალიან კარგად გამოჩნდა, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი საქართველოსთვის და ძალიან კარგად დავინახეთ, თუ რა მნიშვნელოვანია მისი როლი ქართულ სინამდვილეში. როგორ გითხრათ... ივანიშვილის ფიგურა იმდენად გაიზარდა, რომ იმ გადმოსახედიდან ბევრი ყოფითი საკითხი უკვე წვრილმანად გამოიყურება და განსჯაც კი აღარ ღირს.

სხვათა შორის, ამ კაცის როლი უფრო გაიზრდება, რადგან როცა ყველაფერი ჩამთავრდება, უამრავი პრობლემის წინაშე დავდგებით – ეკონომიკურით დაწყებული, სოციალურით დამთავრებული და როგორ ფიქრობთ, ვისი იმედი გვაქვს? დიახ, გამოიცანით, ბიძინა ივანიშვილის და არა შალვა ნათელაშვილის, მამუკა ხაზარაძისა თუ გრიგოლ ვაშაძის. წესით, ამათი იმედიც უნდა გვქონდეს, მაგრამ იმდენად გაფუჭდნენ, ალბათ საკუთარი ნათესავებიც აღარ ენდობიან.

და მაინც... რის იმედი აქვს ე.წ. ოპოზიციას? არ დაიჯერებთ, მაგრამ ფაქტია, „ჟოპოზიციის“ დედა, თამარ ჩერგოლეიშვილი აცხადებს: „კორონამ ვერანაირი გეგმა ვერ ჩამოგვამხო, პირიქით – დაზარალებული ეკონომიკა ოპოზიციას აწყობს. გონება დაძაბეთ“.

აი, ამ ქალშიც არის რაღაც რომანტიკული, ოღონდ ტანკლიტუნკლი-ტანკლისებური, რაც ძალიან უარყოფითად აისახება ხოლმე ისედაც გამოყ... ევებული ოპოზიციის რეიტინგზე. ან კი სად ჯანდაბაში აქვთ ამათ რეიტინგი? ახლა, ამ ქვეყნის მეთაური კიმ ჩენ ინი რომ იყოს, ჩერგოლეიშვილი კარგახნის დახვრეტილი იქნებოდა, მაგრამ ბედი ჰქონია, ივანიშვილი მაგ მხრივაც გულმოწყალეა.

ესე იგი, ოპოზიციას დაზარალებული და დანგრეული ეკონომიკა აწყობს, ხომ? მერე იტყვიან, რანაირად მოიგო „ქართულმა ოცნებამ“ 95%-ით არჩევნებიო?

იყავით მშვიდად, მეგობრებო, იქნება პრობლემები, მაგრამ ყველაფერი მაინც კარგად იქნება!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61











# რისი უნდა გვეშინოდეს, უფალთან მისვლის? თუ უფალთან მისვლის გვეშინია, რისი იმედილა უნდა გვქონდეს?!



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი* *დიმა ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომლის თანახმადაც ათ ადამიანზე მეტის შეკრება ნებადართული არ არის. ხელისუფლების ეს ქმედება მავანმა ეკლესიის, ქრისტიანობის წინააღმდეგ გადადგმულად ნაბიჯად აღიქვა. თქვენ, რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?**

— თქვენ მეკითხებით რამდენად მოდის შესაბამისობაში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდზე მიღებული განჩინება იმ დებულებებთან, რომელიც პრეზიდენტის მიერ იქნა მიღებული. ვფიქრობ, წმინდა სინოდის დამოკიდებულება ძალიან ნიშანდობლივი იყო. მათ განაცხადეს, რომ სოციალური დისტანცირების საკითხს მიესალმებიან. ტაძრებთან დადგება რეპროდუქტორები და მათი მეშვეობით შესაძლებელი იქნება ლოცვა არამხოლოდ შენობაში, არამედ შენობის გარეთაც — ეზოში მოისმინო. ზიარების შესრულების წესი წმინდა სინოდს, რა თქმა უნდა, არ გადაუხედავს. რაც შეეხება ლიტურგიის აკრძალვას, ეკლესიების დახურვას, ეს მკრეხელობაა. საქართველოში თუკი ვინმე ასეთ იდეას განიხილავს, მას უნდა ესმოდეს: ღმერთის მიმართ ზიარებისა და წმინდა საიდუმლოს



ლიტურგიაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა ეს არათუ რაიმეს პრევენციაა, არამედ პირდაპირ მაპროვოცირებელია იმისა, რომ რისგანაც დაცულნი ვართ ეს, სწორედ, უფლისგან ხდება. რისი უნდა გვეშინოდეს უფალთან მისვლის? თუ უფალთან მისვლის გვეშინია, რისი იმედილა უნდა გვქონდეს?!

საქმეში გაუთვითცნობიერებელი ადამიანები შეზღუდვებზე ძალიან ხშირად აგრესიას გამოხატავენ. მაგალითს მოგიყვანთ. ჩემი მეგობარი 27 წელია გერმანიაში ცხოვრობს და მიმდინარე პროცესებს აკვირდება. გუშინ მითხრა, რომ ბავარიის მხარის პრემიერ-მინისტრმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც მოქალაქეებს სახლიდან გამოსვლაზე შეზღუდვები დაუწესდათ, რაც გულისხმობს შემდეგს: მათ არ აქვთ სტუმრების მიღების უფლება, არ შეუძლიათ სხვა ადამიანებთან ერთად სეირნობა, გარდა ოჯახის წევრებისა. ჩემმა მეგობარმა რომ გაიგო აქ ათკაციანი შეკრებებია დაშვებული, გაოგნდა, მითხრა: ათი კაცი რა ამბავია, ეს ცოტა გგონიათო? საჭიროა ზედმიწევნით შევასრულოთ ყველა ის მოქმედება, რაც ვირუსის გავრცელებას ხელს შეუშლის — უნდა დავიცვათ სოციალური დისტანცია. რიგი ადამიანები ეზოში ლოცვის მოსმენას აპროტესტებენ და მაინცდამაინც ეკლესიაში სურთ შესვლა. გავიხსენოთ, 133-ე ფსალმუნი სადაც წერია: აქა აკურთხევდით უფალსა ყოველი მონანი უფლისანი, რომელნი სდგათ სახლსა უფლისასა, ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩვენისათა". მივცეთ „კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა", რადგან „ახლოს არს კართა ზედა". პირდაპირ არის მოწოდება: უფლის სახლის ეზოშიც მოისმინეთ ლოცვაო.

**— სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებში, რა წესები მოქმედებს?**

— ახლა გაირკვა, რომ ბულგარეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მლოცველებს მოუწოდა: ტაძრებს მოერიდონ და სახლებში ილოცონ. ეს არის შიდა გადაწყვეტილება, მათი სუვერენული უფლება. თუ ბულგარეთის ეკლესიის წინამძღოლებმა თქვეს: ეს არ ნიშნავს ღვთისმსახურებაზე უარის თქმას, ეს არის მსხვერპლი, რომელიც გავიღეთ, რათა სხვა მორწმუნეების ჯანმრთელობა დაცული იყოსო. მათ ასეთი მიდგომა აქვთ საკითხის მიმართ, ჩვენ სხვაგვარი. მესმის, რომ არსებობენ ათეისტები და ანტითეისტები, რომელთა არაერთი წარმომადგენელი ძალიან ცნობილი და ანგაჟირებული პიროვნებები არიან როგორც პოლიტიკური პარტიებიდან ისე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მათაც აქვთ გამოხატვის უფლება და ისინი ბოლო ხმაზე გაჰკივიან: ეს არის ჩვენი უფლებების დარღვევაო და სახელმწიფოს მოუწოდებენ იმოქმედოს. სახელმწიფომ გამოსცა დეკრეტი, რაც უკლებლივ ყველას შეეხება. ხაზგასმით ვამბობ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სეკულარული სახელმწიფო ვართ, არ ვართ იმ სეკულარიზმის მიმდევრები, რასაც თავს ნეოლიბერალური დასავლეთი გვახვევს. სახელმწიფო ყოველთვის ვერ იქნება ეკლესიაზე საკუთარი ნების გამტარებელი იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია მარადიული ღირებულებებისადმი თავისი შეუცვლელი დამოკიდებულებები. რუსეთის ეკლესიამაც დაიჭირა იგივე პოზიცია. თუმცა, იქ, მიმდინარეობს გადახედვის პროცესი იმ საეკლესიო განჩინებისა, რომელიც თავიდან ითვალისწინებდა შეზღუდულიყო მრევლის დასწრება ლიტურგიაზე, მაგრამ ამას ძალიან ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის წმინდა ეკლესიის წარმომადგენლები, ამ მიმართულებით, სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. მახსენდება, პატრიარქის სიზმარი, რაც ერთ-ერთმა დედაომ ჩაიწერა. მას ხილვა ჰქონდა: ადამიანები იხოცებოდნენ და უკვალოდ ქრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით გამახსენდა, რომ იტალიაში სამხედროები მანქანებით დადიან და მიცვალებულები პირდაპირ კრემატორიუმში მიჰყავთ. შემდგომ პატრიარქმა დაინახა თეთრ სამოსელში შემოსილი პატარა ბიჭი, რომელიც იხრებოდა, მიწას იღებდა, ჯვარს ისახავდა და პატრიარქს ეუბნებოდა: გადავრჩებითო. სწორედ ღმერთში, ყოვლადწმინდა სამებაშია ხსნა. თუკი ჩვენ ყოვლადწმინდა სამებას ზურგს შევაქცევთ მივიღებთ სიბნელეს, უიმედობას, სასოწარკვეთილებას. სადაც რწმენაა იქ არავითარი დაავადება არ შემოგვიტევს.

**— თქვენ ახსენეთ, საკმაოდ მყიფე ეკონომიკა გვაქვსო. გამოსავალი რაშია, რათა ქვეყანა არ ჩამოგვეშალოს?**

— საგანგებო მდგომარეობის შემოღებაში არის გარკვეული ხარვეზებიც. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დღეს მსოფლიო სრულიად ახალი რეალობის წინაშე დგას. როცა საომარ ან საგანგებო მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ: პირველი და უმნიშვნელოვანესი, რასაც სახელმწიფო ყურადღებას უნდა აქცევდეს, ეს არის ახალი ეკონომიკური ფორმაციის საკითხი. ანუ, ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების რელსებზე გადაყვანა. საჭიროა ვუზრუნველყოთ სოციალური დახმარების მინიმალური სტანდარტების გათვალისწინება ნორმატიულ აქტში. არცერთი ადამიანი არ უნდა აღმოჩნდეს დარტყმის ქვეშ, რაც ხშირ შემთხვევაში სამუშაო ადგილის დაკარგვას უკავშირდება. სამწუხაროდ, დღეს დროებით უმუშევარი ბევრი ადამიანი დარჩა იმიტომ, რომ საქართველო არ არის ინდუსტრიული სახელმწიფო, არამედ ტურიზმისა და მომსახურების ეკონომიკის ქვეყანა. დიახ, ბევრი ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა სწორედ იმიტომ, რომ ტურიზმისა და მომსახურების სფერო განულებულია. სახელმწიფო ხაზინა, ბიუჯეტი ამ ახალ რეალობაზე უნდა იყოს ადაპტირებული. პირველ რიგში, გამოწვევის წინაშე დგას ჯანდაცვა და სასურსათო უზრუნველყოფა, პროდუქტები, რასაც სამწუხაროდ, საქართველო საკმარისი ოდენობით არ აწარმოებს. ნებისმიერი სუპერმარკეტი რომ ავიღოთ, სასურსათო პროდუქციის 83–84% შემოტანილია. საქართველო მხოლოდ 15–16%-ის მოცულობით აწარმოებს მისთვის საჭირო პროდუქტს. მოცემულ ვითარებაში როდესაც მთელი მსოფლიო დაპაუზებულია, ჩვენ ახალი გამოწვევის წინაშე ვდგებით. ახლა მარტია, თვენახევარი გვაქვს რათა სწრაფად მივიღოთ გადაწყვეტილება და მოვახდინოთ სოციალ-ეკონომიკური სოციალ-პოლიტიკური პროგრამა „სავსე ბეღელის" ამოქმედება — ვუზრუნველყოთ მარცვლეული კულტურების თესვა, წარმოება, შენახვა, გადამუშავება, რათა მსოფლიო მასშტაბით მოსალოდნელ ჰუმანიტარულ კატასტროფას თვალი გავუსწოროთ. შემოდგომაზე არ უნდა გვქონდეს სამათხოვრო, სახვეწარი მეზობლებთან, გნებავთ ოკეანის გაღმა, რათა გვიშველონ, გამოგვიგზავნონ ხორბალი, ქერი და ა.შ. თადარიგი უნდა დავიჭიროთ. მოგეხსენებათ, საქართველო არის სოფლის ცივილიზაციის ქვეყანა და გვაქვს შესაძლებლობა სოფელში არსებული ოჯახების ბაზაზე მათი ინტერესების გამსხვილება მოვახდინოთ და ფერმერული ბლოკების ჩამოყალიბების გზით აღმოვფხვრათ სასურსათო პრობლემა ამა თუ იმ რაიონში. ასე, რომ ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სფეროებს უნდა მივხედოთ.

**— ბატონო დიმა, ამ ფონზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი ქართველების ბედი…**

— დიახ, ეს მნიშვნელოვანია თემაა. ახლა, ემიგრაციაში ათასობით ადამიანია. დამირეკეს გერმანიიდან, ბერლინის მხარედან, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა ძირითადად, „მაკდონალდსის" ქსელში მუშაობდა. როცა ვირუსი გამძვინვარდა ყველაფერი დაიკეტა, ისინი უმუშევრები დარჩნენ. სამშობლოში დასაბრუნებლად ბილეთები აიღეს, მაგრამ ავიაკომპანიებმა, ფაქტობრივად, ფრენები შეაჩერეს და საბოლოო ჯამში, ეს ადამიანები გერმანიაში არალეგალურ მდგომარეობაში აღმოჩდნენ, რადგან 90 დღიანი უფლებით სარგებლობდნენ. მათ სასტუმროები ვერ იღებენ იმიტომ, რომ ყველა დაკეტილია. მოქალაქეებს უფლება არ აქვთ ქართველები შეიფარონ იმიტომ, რომ ამაზე გათვალისწინებულია ჯარიმა. სოციალური დისტანცირების საგანგებო ზომები ტარდება და 2 ათასიდან 25 ათას ევრომდეა ჯარიმა, ასევე, 6 წლიანი სასჯელი პირობის დარღვევის შემთხვევაში. წარმოიდგინეთ, ასეთ ვითარებაში როცა ადამიანს სამშობლოში დასაბრუნებელი ფულიც აღარ აქვს, ბილეთი გაუუქმეს, ვიზის მოქმედებაც გასდის, ამას ემატება გაურკვევლობაც — ჩვენი საკონსულო არაფერს პირდება გარდა იმისა, რომ მათი გამოყვანა ჩარტერული რეისებით მოხდება. ასეთი ადამიანების რიცხვი ძალიან ბევრია. გარდა ამისა, თითოეული პირი ვინც ჩამოფრინდება კარანტინში უნდა მოთავსდეს. სახელმწიფოსთვის მათთვის დამატებითი საკარანტინო ადგილების გამოყოფა დიდი პრობლემაა. ამას სრულიად საყოველთაო, სახალხო ჩართულობა და ანტიკრიზისული გეგმის დადება სჭირდება. ჩვენ არ გვაქვს უფლება საქართველოს მოქალაქეს რომელიც ქვეყნის გარეთ განსაცდელში იმყოფება, ხელი ვკრათ. წმინდათა წმინდა ვალდებულებაა დავაბრუნოთ ქართველები. ჩვენი ქართველები ჩვენთან! — ეს არის ჩემი ლოზუნგი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# საით წაიყვანენ მსოფლიოს „მსოფლიო მამები“?

**შეცვლის თუ არა, კორონა ვირუსის პანდემია პლანეტაზე პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორი მსოფლიო შეიძლება ვიხილოთ ამ მძიმე ფონზე, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ტელეინტერვიუში ისაუბრა საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტმა, პოლიტოლოგმა ირაკლი გოგავამ ისაუბრა.**

მისი განცხადებით, დღევანდელ პანდემიასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟში, საკმაოდ დიდი წილი მედიას უკავია. ვინ ფლობს ამ მედიასაშუალებებს, ჯამში სულ რამდენიმე კომპანია, რომელთაგან თითოეული ათობით გამოცემის, ტელევიზიას და ა.შ. მეპატრონეა. ეს აჟიოტაჟიც სწორედ მათი შექმნილია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვირუსი არ არსებობს და სიფრთხილე არ არის საჭიროო. პოლიტოლოგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, შეერთებული შტატები და ჩინეთი, ერთმანეთს



აბრალებენ ახალი კორონა ვირუსის წარმომავლობას, რაც უკვე ოფიციალური პირების დონეზე გაცხადდა. აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი მას პირდაპირ უწოდა ჩინურ ვირუსი. ამის გამო, რომელიღაც ჟურნალისტმა ბანოვანმა მას ლამის რასისტობაში დასდო ბრალი, თქვენი ეს გამონათქვამი რასიზმიაო. ასეა თუ ისე, ამერიკელები ამ ავადსახსენებელ კორონას, მინიმუმ უცხოურ ვირუსს უწოდებენ. ამ დროს, ჩინეთის საგარეო სამინისტროს პრესსპიკერი, ამერიკელ სამხედროებს აბრალებს უხანში ამ ვირუსის გავრცელებას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ვირუსი ოქტომბერში ყოფილა წარმოშობილი, ჩინეთი კი დეკემბრამდე არ ახმაურებდა ამას, ინფორმაციას არ აწვდიდა პარტნიორებს, საერთაშორისო თანამეგობრობას უხანში ვირუსის ლოკალური პანდემიის შესახებ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დეკემბრის თვეში ჩინეთმა შეძლო სერიოზული, ფაქტობრივად, სამხედრო ოპერაციის ჩატარება, როდესაც 30 მილიონიანი უხანის რეგიონი მთლიანად დაბლოკა, გატარდა შესაბამისი სამკურნალო თუ სხვა ღონისძიებები და დღეს უკვე ფაქტია, რომ შედეგს მიაღწიეს. გოგავას განცხადებით, ჩინეთს თავიდანვე რომ გაეხმაურებინა ეპიდემიის არსებობა, უფრო მოემზადებოდნენ არამარტო ევროპის, არამედ ყველა ქვეყანა

და პანდემია ნაკლები სიჩქარით გავრცელდებოდა.

ბუნებრივია, კორონა ვირუსის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი გავლენას იქონიებდა ეკონომიკაზე და უკვე არის კიდეც უარყოფითი შედეგი. გოგავას განცხადებით, აშში ძალზე სერიოზული რეაგირება მოხდა, პრეზიდენტ ტრამპის მიერ გამოცხადებულ 15-დღიანი გეგმა აბსოლუტურად უპრეცედენტოა. მსგავსი 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროსაც არ ყოფილაო. საუბარია ტრამპისა და თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული გეგმაზე, პანდემიის შეჩერების, ლოკალიზების ქვეყანაში და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის კომპენსაციის თვალსაზრისი თ. ამ მიზნით ტრამპის მთავრობამ თითქმის ტრილიონი დოლარი გამოყო, მათ უბრალოდ ფული დაურიგეს დაბალშემოსავლიან ადამიანებს, ათასდოლარიანი ჩეკი, რაც სერიოზული სტიმული იქნება ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, 250 მილიარდი დოლარის ოდენობის შეღავათიანი სესხი გაიცემა მცირე ბიზნესისთვის. ავიაკომპანიები, რომლებმაც უკვე დიდი ზარალი ნახეს, 50 მილიარდ დოლარს მიიღებენ კრიზისის დასაძლევად, ამას გარდა, 500 მილიარდი დოლარის საშემოსავლო გადასახადები იქნება შემცირებული ასევე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.

ირაკლი გოგავას განცხადებით, კარგი იქნება გავეცნოთ 2010 წელს გამოქვეყნებულ საკმაოდ სა-



ინტერესო მოხსენებას, რომელიც როკფელერის ცენტრის დაფინანსებით მომზადებულა. მისი ავტორია მკვლევარი **პიტერ შვარცი** და ჰქვია „სცენარები ახალი ტექნოლოგიებისთვის და საერთაშორისო განვითარება“. აქ აღწერილა სცენარები, რა შეიძლება არსებობდეს პლანეტისთვის, ერთ-ერთი ყოფილა ბლოკირების სცენარი, რომელიც ასახავს დღევანდელობას. აქ საუბარია იმაზე, რომ საზღვრები ჩაიკეტება, საერთაშორისო ვაჭრობა შეიზღუდება, მთავრობებს მიეცემათ მოსახლეობაზე, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებზე უფრო მეტი კონტროლის დამყარების საშუალება. უფრო მეტი გადახრა იქნება ავტორიტარიზმისა და დიქტატურისკენ, ოღონდ სხვადასხვა ქვეყნებში რა თქმა უნდა სხვადასხვა დოზით. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი შემცირდება. ასეთი პრეცედენტი უკვე იყო, 2001 წელს ნიუ იორკში ტერორისტული შეტევა რომ განხორციელდა, ამერიკელების უმრავლესობამ თავი შეიზღუდა ანტიტერორისტული ოპერაციების გამო, რომელსაც აშშ აწარმოებდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან მეეჭვება კოლექტიური ნაცებისა და მათი „ასკოლკების“, მედია-„ენჯეოეშნიკებიანად“ და უცხოელი „უანგარო“ მხარდამჭერებიანად შეგნებაზე რამემ იმოქმედოს და გარკვეული დროით მაინც ჩააცხროს, ამათი ურაპატრიოტული და „ჰუმანური“ წიოკი. გოგავას აზრით, შვარცის ეს სცენარი, რომელიც ერთი ერთში ასახავს დღევანდელ ვითარებას, საკმაოდ დამაფიქრებელია. ნიშანდობლივია ისიც, რომ კვლევა როკფელერის ცენტრის მიერაა დაფინანსებული. როკფელერები ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და სერიოზული ოჯახია ამერიკაში.

კონკრეტულად რა გამოწვევებს აყენებს დღეს მიმდინარე პროცესები ეკონომიკური კუთხით, რაც საქართველოზეც აისახება, გოგავას აზრით, სერიოზული შეფერხებები იქნება ეკონომიკური ზრდის ტემპებში. ჩინეთის ეკონომიკური ზრდა წელს ნავარაუდევი იყო 6%-მდე, თუმცა სავარაუდოდ 2%-ით მოიკლებს, რადგან ჩინეთის ექსპორტი უკვე შემცირდა დაახლოებით 18–20%-ით. გარდა ამისა, მომსახურების სფერო მთლიანად გაჩერდა, სერიოზული შეფერხება ელოდება ბიზნესს, მაღაზიებს, რაც ნებისმიერ ქვეყანას ეხება, ყველა ერთ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამას სჭირდება სტიმულირება. ეს ყველაფერი დღეს აჩენს შესაძლებლობას, რომ მსოფლიომ ამ პანდემიისა და ბლოკირების ფონზე გადაწყვიტოს საით წავიდეს. ღირს კი გლობალიზაცია? თუ ეს ძალები მუშაობდნენ სცენარებზე, დღეს



ასარჩევად აქვთ საქმე. დავაკვირდეთ შემდგომ მოვლენებს და ვნახავთ საით წაიყვანენ მსოფლიოს.

ირაკლი გოგავას აზრით, მსგავსი სახის ღონისძიების მიზეზი გახდა გლობალური დაგეგმილი განვითარების კურსი, რასაც მდგრადი განვითარების სტრატეგიას ეძახიან. ამას კურირებს გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი. „ბანკების ეს სტრუქტურა კურირებს, იქ ხდება გეგმაზომიერი განაწილება, ვინ რა ეტაპზე რას ანვითარებს, რისი უფლება აქვს. ჩვენ ახლა საფეიქრო მრეწველობის განვითარების უფლება მოგვცეს, ეს კარგია, რადგან დასაქმდა ასეულობით ადამიანი. საქართველოში შეკერილი ტანსაცმლის ექსპორტირება მოვახდინეთ, რომლის თანხამაც 60 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს არ არის საკმარისი, ასევე გვინდა რამენაირად „გამოვძალოთ“ საერთაშორისო ორგანიზაციებს მაგალითად, კვების მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა, პირდაპირ ვთქვათ, უფლება. კვების მრეწველობა მოგვცემს საშუალებას, სოფლის მეურნეობა ავაღორძინოთ, რადგან ეს უკანასკნელი ცალკე, დოტაციური სფეროა, არ არის მომგებიანი, თუ რაღაც ძვირფას პროდუქტს არ აწარმოებ თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც ძვირი ჯდება. ამიტომ, ახლა უკვე ხელისუფლების მარიფათზეა დამოკიდებული, რამდენად დაუმტკიცებს საერთაშორისო დონორებს, კვების მრეწველობის განვითარების აუცილებლობას. სამმილიარდნახევარი დოლარი რომ მოვაგროვეთ სავალუტო რეზერვი, ეს კარგია, რადგან უკვე გაგვეზარდა მსოფლიო ბანკის სავალუტო კოეფიციენტი, რაც ქვეყანაში მეტი ეკონომიკური ძვრების საშუალებას მოგვცემს.

ქვეყანაში შეიძლება დადგეს სასურსათო უსაფრთხოების საკითხი. ამიტომ აპრილი და მაისი არის მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფომ მიხედოს ამას, რეგულაცია გაუკეთოს. პრობლემაა ის, რომ ჩვენ გვაქვს დაახლოებით ორი მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, აქედან 1.200.000 ჰა საძოვარია, ხოლო 800.000 ჰა სახნავ-სათესი. რეალურად ამ ფართის მეოთხედი თუ იხვნება და ითესება, მაგალითად 2019 წელს 207.000 ჰა იყო დახნული, რაც დიდი პრობლემაა. მოხნულ-დათესილი ფართობები უნდა გაიზარდოს, ქვეყანამ უნდა შეძლოს ჩვენი მცირერიცხოვანი მოსახლეობის მინიმუმ, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, აცხადებს ირაკლი გოგავა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ – ასეთია ჩვენი ბედისწერა



## გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში

**„საერთო გაზეთი“ გლობალური გამოწვევების პრევენციისა და ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებზე სასაუბროდ იწვევს ცნობილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს.**

**ნომრის სტუმარია ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა.**

**საუბარს უძღვება ეკონომისტი იური პაპასქუა.**

— ბატონო ნოდარ, თქვენმა მრავალმხრივმა გამოცდილებამ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეოსტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბების მიმართ აქტიურმა პოზიციამ გან-



საზღვრა თქვენთვის გვეთხოვა პირველს გამოგეთქვათ მოსაზრება ამ გლობალური გამოწვევის შედეგებსა და პრევენციის უმთავრეს ღონისძიებებზე. ორიოდ წლის წინათ გამოცემულ თქვენს მონოგრაფიაში: „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“, განსაკუთრებით საყურადღები სხვა მიზანდასახულობებთან ერთად, გამოყოფთ გლობალურ გამოწვევებთან თავსებადობის იმუნიტეტის გამომუშავებისა და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების აუცილებლობას. დღეს სწორედ გამოცდილებაზე დაფუძნებულ ამ განჭვრეტის გარდაუვალობის წინაშე აღმოვჩნდით. კორონავირუსმა გადასაჭრელი ბევრი პრობლემა და გასათვალისწინებელი გარემოება გამოკვეთა. რა მივიღეთ, სად ვართ, რა ვაკეთოთ? კითხვები ბევრია, თუმცა ერთ შეხვედრაზე ყველაფერს ვერ შევეხებით.

**ნოდარ ჭითანავა:** რთული ვითარებაა, მაგრამ არა უსაშველო. კაცობრიობას არაერთხელ ქონდა განსაცდელი. მსოფლიო ახლა ადამიანი ჯანმრთელობას დამუქრებულ ვირუსს ებრძვის. იყო დრო, როცა ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვის მძვინვარებდა ომები. ესეც ომია, თავისებური და განსხვავებული ორიენტირებით. პირველი, რაც უნდა ვთქვათ, მეტი წინგახედულობა და პანიკის განრიდებაა საჭირო. ეს განსაცდელი აუცილებლად ჩაივლის...

ჯერ კიდევ ადრეა სრულფასოვნად შეფასდეს მძვინვარე ვირუსის შედეგები, მაგრამ საკმარისი დროა გასული იმისთვის, რომ შევნიშნოთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესები. ჩემი დაკვირვება ამჯერად სულ 10 თეზაში ეტევა:

1. კორონავირუსმა მსოფლიო მართლაც შოკში ჩააგდო — დაიზაფრა ცნობიერება; არამხოლოდ მოქალაქეები, სახელმწიფოებიც, ალიანსებიც, სამხედრო ბლოკებიც, ყოვლისშემძლეედ აღიარებული საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური „მაშველი რგოლებიც“ დაიბნენ; მყისიერად შექმნილმა სიტუაციამ მათი უმწეობაც ამხილა; „რაც მსურს, იმას ვაკეთებ“ და პასუხისმგებლობისგან დაცლილი ყალბად აღქმული გამოხატვის თავისუფლებაც გაშიშვლდა; მოქალაქე დაუცველი აღმოჩნდა. საზოგადოდ დამკვიდრებული ეს მოვლენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემაცაა. მისი გაცნობიერება საფუძვლიან ანალიზს და ნაციონალური სახელმწიფოს ამჟამად აღიარებული საერთო მოდელის კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს;

2. გლობალური აზროვნება, ლოკალური მოქმედება, სოციალური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრინციპების ერთიანობა, ვირტუალური სლოგანი არ არის — ეს კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ჩამოყალიბებული რეალობაა. ნებისმიერი სახელმწიფო ამ მოცემულობაში საკუთარ რესურსებსა და გარედან მხარდაჭერას ეფექტურად უნდა იყენებდეს. დღეს პოლიტიკურ სიმწიფეზე გამოცდას აბარებს ნაციონალური სახელმწიფო, ეფექტიანობაზე — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო თვითშეგნებაზე — საზოგადოება;

3. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ გლობალური ეპიდემიების და ბუნებრივი კატაკლიზმების რთულ პროცესებს პროგნოზირების უახლოეს მეთოდებსა და თანამედროვე ორგანიზაციულ, ტექნოლოგიური საშუალებებზე დაფუძნებული, გადაწყვეტილებების მყისიერად მიღების უნარიანი ცენტრალიზირებული მართვა სჭირდება. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაერო, ნატო და ევროკავშირი კორონასთან ბრძოლაში მოუმზადებელი და გლობალური პრობლემების გადაწყვეტის მიმართ უსუსური აღმოჩნდა. ნაციონალურ სახელმწიფოებს კი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა), პანდემიამ უმართავი ვითარება შეუქმნა.

4. თავი იჩინა მსოფლიოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ნეგატიურმა შედეგებმა. განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს ფაზად მიიჩნევენ და გლობალური პროცესების მართვაც თავის თავზე აიღეს, ისტორიული ამოცანის შესრულება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც. თავის დროზე საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სტრუქტურების მიერ შეთავაზებულმა პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდაქმნების დოქტრინამ („ვაშინგტონის კონსენსუსი“) — „შოკურმა თერაპიამ“ (რომელიც ახალი გამოწვევების ადეკვატური სულაც არ იყო), ისედაც სუსტი ეროვნული ეკონომიკის მატერიალურ-ორგანიზაციული საფუძველი პირწმინდად მოშალა და კრიზისების მართვაში სახელმწიფოს — სისტემამაშემქმნელი ფაქტორის როლის იგნორირება გამოიწვია. მათი ამბიცია, რომ მხოლოდ დასავლეთის მოდელია ერთადერთი და ამიტომ ყველგან უნდა დამკვიდრდეს, წინააღმდეგობაში მოვიდა გლობალურ პროცესებთან ნაციონალური სახელწიფოების ადაპტირების უმთავრეს პრინციპთან — მრავალფეროვნებასთან. დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ერთპოლუსიან მართვასთან არის დაკავშირებული მსოფლიოში მიმდინარე ლოკალური ომები, სხვადასხვა ფერის ე.წ. რევოლუციები, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები და სახეშეცვლილი („უხილავი“) დიქტატურის ფორმებიც (სხვადასხვა ყაიდის ტერორისტული ორგანიზაციები და ა.შ.).

კორონავირუსის მძვინვარება სასტიკი გაფრთხილებაა მათთვის, ვინც ერთ თარგზე გამოჭრილ პლანეტარული მსოფლხედველობით განსაზღვრულ ცხოვრების მოდელს (წესს) სთავაზობს ერთმანეთისაგან ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური თავისებურებებით განსხვავებულ ქვეყნებს;

5. კორონასთან ბრძოლის ყველაზე საიმედო საშუალებად მსოფლიომ აღიარა ოჯახი (სლოგანი „დარჩი სახლში“). უკანასკნელი წლების კატაკლიზმებგამოვლილი ქართული ოჯახი, რომელიც პოლიტიზების წნეხის ქვეშ აღმოჩნდა (ოჯახის წევრების მსოფლმხედველობითი პოზიციები ხშირად დაპირისპირების საბაბიც ხდება), თავის ისტორიულ როლს თითქოს უბრუნდება. სიკვდილის შიშმა ოჯახის წევრების ერთად ყოფნას ხელი შეუწყო. პირდაპირი მნიშვნელობით, სახლში დარჩენა სულაც არაა გამოსავალი, უფრო მოძრაობა და მოქმედებაა უპირატესი, მაგრამ ეს პროცესი ერთობ მნიშვნელოვანია. იგი უხილავ წერტილებზე აღმოცენებული ის მუხტია, რომელსაც შეუძლია ყოვლის მომცველ პროცესს საჭირო ბიძგი მისცეს. გათითოკაცების სინდრომს, რომელიც დღეს ეროვნულ ცნობიერებას წარმართავს, აშკარად წინ აღუდგა ერთად ყოფნის ქართული ისტორიული გამოცდილება. ეს შანსი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ქართული ოჯახი ისტორიულად ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ძლიერი საყრდენი იყო. ის მუდამ ასრულებდა ქვეყნის, როგორც საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ასეთად უნდა დარჩეს მომავალშიც.



6. კორონავირუსის ეპიდემია და ბუნებრივი კატაკლიზმები ბევრად განაპირობა ეკოლოგიისა და ეკონომიკის კონფლიქტმა. ბუნება არ პატიობს ადამიანს იმას, რომ იგი მოზღვავებული სიხარბის გამო, მტაცებლურად ექცევა მას. ანგარება წარმართავს ეკონომიკის განვითარებას. მაქსიმალური მოგების ამოღებაზე აგებულმა ეკონომიკურმა სისტემამ, რომელიც ერთნიშნად, კაცობრიობის უდიდეს მიღწევად მიიჩნევა, მწვავე, თითქმის დაუძლეველი, რთულ კვანძებად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პრობლემები შექმნა. მათი გადაწყვეტა მხოლოდ ძლიერ ეკონომიკას შეუძლია. კორონასთან ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, ცხადია, დიდი სახსრები სჭირდება. მაგრამ სწორედ აქ მანკიერმა წრემ თავი იჩინა. ბიოლოგიური კატასტროფის საფრთხის დასაძლევად 85 ტრილიონიანი მშპ-ს მქონე მსოფლიომ საჭირო სახსრები ვერ გამონახა. ეს იმიტომ ხდება, რომ კაცობრიობამ აუცილებლობისას (არც თუ ისე ხშირად) ერთიანი ინტერესებით ცხოვრება ვერ ისწავლა; კოლონიზაციის ხაფანგებზე გამდიდრებული ეკონომიკის ქვეყნები, ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობისთვის ისტორიულ პასუხისმგებლობას გაურბიან.

7. კორონასთან ბრძოლის იმპულსურმა ეიფორიამ რეალურად წარმოაჩინა თუ რატომ არის ცუდი სოციალურად პოლარიზირებული და დემორალიზირებული ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ დომინანტი კერძო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება. კატაკლიზმებისას ყველგან და ყოველ ნაბიჯზე თავს წამოყოფს თანამედროვე მსოფლიოს 5 უბედურება: სიღარიბე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა. ცხადია, რომ ვირუსის დამარცხების შემდგომ აღნიშნული პრობლემები უფრო გამწვავდება. სწორედ მათი დაძლევისათვის უნდა იქნას გამოყენებული ყველა რესურსი, რაც გაგვაჩნია. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ყველაზე რთული ამოცანაა. დღეს საზოგადოებაში პირად და ჯგუფურ ინტერესებს ამოფარებული რევანშიზმი მძლავრობს. პიროვნული თავისუფლებით თა-

ვაშვებული ადამიანები დიდ დროს უაზრო ლაპარაკსა და კინკლაობაში ატარებენ, საშოვარზე გადახვეწილი ოჯახის წევრის სიმწრის ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვას შეჩვეულნი ფიზიკურ შრომას თაკილობენ და არც არავინ სთხოვს საკუთარ ოჯახში სარჩო რატომ არ შემოაქვს. ეს არის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის მოდუნების, გლობალური აგრესიის ზეწოლის, ეროვნული ფენომენის საძირკვლის — მამული, ენა, სარწმუნოების რღვევის, ტერიტორიული მთლიანობის მოშლის, ენის დაჩაგვრის, მართლმადიდებელი იდეებისადმი უნდობლობის, წარსულისადმი ნიჰილიზმის ძალისმიერი მეთოდებით დანერგვის, შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი სხვა დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბებული რეალობა. აი, რატომ არა ვართ „ისტორიით შედუღებული ერთ სულ და ერთ ხორც მკვიდრთა კრებული" (ილია). ეს მაშინ, როცა ქართველებს განგებისაგან მომადლებული ნიჭიც გვაქვს, საუკუნეებს გამორიდებული ღირსებაც და მისი დაცვის უნარიც. საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, ასეთია ჩვენი ბედისწერა.

8. მწვავე გამოწვევებთან ბრძოლის თითქმის 30 წლის განმავლობაში, გარედან ნაკარნახევი ილუზიებით მუდმივად დახშული ეროვნული სულისკვეთება, რომელმაც ძნელბედობის ჟამს ასპარეზი დაეთმო კრიმინალურ ცნობიერებას, „მთვლემარე მდგომარეობიდან" გამოსვლის ნიშნებს ავლენს. იმედის სხივმა გაიელვა: ეროვნული ენერგიის მკვებავი წყარო არ დაწრეტილა, იგი სუფთაა და მისი გონივრული გამოყენებით (დროთა განმავლობაში დაგროვილი მინარევებისაგან გაწმენდით), შესაძლებელია ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება — განმტკიცება. ეს დიდი იმედია, რეალურად გაცნობიერებული იმედი — ეროვნული თანხმობისკენ და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმავალი ყველაზე სწორი და მოკლე გზა.

9. დადასტურდა, რომ ინტელექტუალური პოტენციალი, როცა მას ეროვნულ — სახელმწიფოებრივი მიზნებისთვის სწორად გამოვიყენებთ, უდიდესი ძალაა, იგი მილევადი არ არის, სიცოცხლისუნარიანია, მამა-პაპური შეუპოვრობით ყველა დონის გამოწვევებთან გამკლავების შემართება, ღირსება და ცოდნაც შენარჩუნებული აქვს. ეს მყისიერად სამედიცინო სფეროში გამოჩნდა. ძველმა, ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალურ დონეზე აღზრდილმა მედიკოსთა თაობამ საზოგადოებას სანიმუშო მაგალითი მისცა. საბედნიეროდ, გამყრელიძეები, იმნაძეები, ცერცვაძეები ეზუგბაიები და სხვები ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მრავლად არიან. ერის უბედურება იწყება იქ, სადაც სახელმწიფო, საზოგადოება სამი არამატერიალური განძის — ნიჭის, ჭკუისა და ცოდნის მფლობელ მამულიშვილებს (მოქალაქეებს) უნდობლობას უცხადებს, არარაობის გამოგონილ პერსონაჟებად მიიჩნევს. უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომლის მიმდინარე პროცესების ანალიზიდან გამოდის — უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობების პოტენციალის (როგორც პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის ეროვნული რესურსის) ქვეყნის ამოცანებისა და მასშტაბების შესაბამისად თანაზომიერი გამოყენების აუცილებლობაა. ამ დღეებში საზოგადოებამ ნახა თუ როგორ იშვა ხანდაზმული ადამიანების, ავადმყოფების, ბავშვების მიმართ ზრუნვით, მედიკოსების მიმართ მადლიერების გამოხატვის მაგალითები.

უნდა ვირწმუნოთ, რომ საზოგადოებაში არა პოზიციათა უკომპრომისო დაპირისპირება, არამედ უპირატესად მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისთვის სახელმწიფოს, ეკონომიკის, საზოგადოების, მოქალაქეების ინტერესების „ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად ბედნიერი მორიგებაა". (ილია)

10. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ხალხის მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს; ძლიერი სახელწიფოს გარეშე ძლიერი ეკონომიკა არ არსებობს, მათ გარეშე კი პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. დღეს თანაბრად სჭირდება საქართველოს, როგორც ძლიერი და გამჭრიახი სახელწიფო, ასევე ძლიერი და მოქნილი ეკონომიკაც. სამწუხაროდ, თითქმის 30-წლიანი გამოცდილებით ვერ შევძელით ვერც ძლიერი სახელმწიფოს და ვერც ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება. ამას თავისი მიზეზები აქვს.

ახლა მთავარია რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, ეკონომიკა, რომელიც ჩვენივე აქტიური თუ პასიური პოზიციით შეიქმნა. ობიექტურად გავაცნობიეროთ, მოვლენებს, პროცესებს, ტენდენციებს, კანონზომიერებებს საკუთარი სახელი ვუწოდოთ და თანამედროვე მეცნიერული ლოგიკით, როგორც დიდი ილია იტყოდა, „ცოდნის ჩარხზე გალესილი ჭკუით" განვსაზღვროთ ამჯერად მაინც ქვეყნის განვითარების სწორი სტრატეგია.

და ბოლოს, გულწრფელად გეტყვით, კორონავირუსთან გამკლავების უაღრესად რთული ამოცანის შესაბამისად კონკრეტული მოქმედებების ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების პროცესში, საზოგადოებამ იხილა საქართველოს მთავრობის წევრების, პირველ რიგში, პრემიერის მხრივ მოვლენებში სწრაფად და სწორად გარკვევის უნარი, გამჭრიახობა, უმაღლესი პასუხისმგებლობა, სიდინჯეც. ეს იძლევა იმედს, რომ საქართველოს მთავრობა გამოწვევებთან ბრძოლის შეძენილ გამოცდილებას გამოიყენებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და ქვეყნის მაღალი ტემპებით აღმშენებლობისთვის.

**იური პაპასქუა:** მადლობა, ბატონო ნოდარ, შემდგომში ახალი კითხვებით დაგიბრუნდებით.

საუბარს უძღვებოდა
**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

# ორი ცრუქაქუნა – ვალერა და „აქუნა"





მსოფლიომ მოიშორა ისპანკა, მალარია, შავი ჭირი, ქოლერა, ჭლექი, ებრძვის კორონა ვირუსს და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამასაც დაამარცხებს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვიშორეთ აფერისტები და მოღალატეები, ნაციონალური მიშა-ვაქცინით დამდუღრული პირები, რომლებიც ახლა, ამ ექსტრემალურ ვითარებაშიც კი არ ანებებენ თავს გესლის და შხამის ნთხევას.

გამომჯდარა „აქუ" წითელი ჰალსტუხით თავის „ტელე წისქვილში" და ღერღავს და ღერღავს სისულელეებს.

რა გინდა, შე კაცო, ხომ გაქვს გასართობი ტელევიზიის სახით, ჩაყავი ფეხი ძმრიან და ცხელწყლიან ტაშტში, ამოაწეპე ბიჩოკი მაგიდის კიდეს, ილაპარაკე სტალინზე და ხანდახან „კორეგა" იყიდე, თუ ძმა ხარ...

მაგრამ არა! ერევა „აქუ" მარაქაში და ისაო, მეცო, გული მეწვის, რომა ქვეყანას აშკარად აქცევს ახლანდელი მთავრობაო.

მოუჯენია გვერდში ვალერა გელბახიანი და ალაპარაკებს კონსტიტუციაზე.

კონსტიტუცია კი არა, სახეზე აწერია გელბახიანს — აფერისტი ვარ, აფერისტიი.

აქით „აქუ" სერიოზული სახით მოთქვამს და გოდებს — გვექცევა ქვეყანა, გვექცევაო.

მართლა დაგვექცევა ყველაფერი, თქვენნაირების ხელში რომ ვიყოთ და ფუი, ეშმაკს, მართლა...

ამ ცხოვრებას რომ ვუკვირდები, არ არსებობს დიდი და მცირე დანაშაული და არ არსებობს დიდი და მცირე ღალატი, როგორც ნათქვამია, „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ერთი და იგივეაო", ისეა მოღალატეც.

ერთ ოთახში მჯდომი მეგობარი თუ გაგყიდის სხვაზე, იმას უფრო დიდი შესაძლებლობა რომ მიეცეს, ქვეყანას გაყიდის.

ღალატი მდგომარეობიდან გამომდინარე კი არა, შინაგანი წყობაა მოღალატისთვის.

გელბახიანს პირიდან რაკრაკით ოქრო რომ ამოსდიოდეს, როგორ უნდა დაუჯდე გვერდით და როგორ უნდა დაუჯერო ერთი სიტყვაც კი, კაცს, რომელმაც, როგორც ამბობენ, მისთვის ლუკმის მიმცემი, დამპურებელი და მეგობარი ბადრი პატარკაციშვილი გაყიდა და სასიკვდილოდ გაიმეტა. კარგი, ბადრის ნათელი დაადგეს და თავი დავანებოთ; სააკაშვილს რომ ეხვეწებოდა, საქართველოში ჩამომიშვიო, დედა გარდამეცვალაო და მიშამ რომ ციხეში უკრა თავი, იმ მიშას რომ ეახლა მერე თავდადრეკილი, ამ კაცს, საერთოდ, კაცად რომ ვინმე თვლის, ესაა პარადოქსი, თორემ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კი არა?!

ერთი სიტყვით, დალანძღეს ამასწინათ მთელი მთავრობა პრეზიდენტიანად „აქუმ" და ვალერამ „კავკასიის" ბუტკაში, იგივე კანტორაში, როგორც „აქუს" უყვარს ხოლმე მოხსენიება.

იდეალური მთავრობა არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს, არც ჰყოლია და ვერც იარსებებს, მაგრამ „აქუ" და ვალერა რისი გამკრიტიკებლები



არიან, რისი გამკეთებლები და რაზე წამსვლელები, ყველამ კარგად ვიცით, მათი წარსულიდან გამომდინარე.

აქუბარდიას რა მოვთხოვო და ამ შებერტყილმა გელბახიანმა მშვენივრად უწყის, რა გამოწვევების, პრობლემების და დაბრკოლებების წინაშე დგას საქართველო, როგორც გარე, ისე შიდა ბარიერებთან ბრძოლაში და ის, რასაც დღეს ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, მართლაც რომ ბეწვის ხიდზე ქვეყნის გატარებას ნიშნავს. კიდევ ვიმეორებ, გარე და შიდა მძიმე ფაქტორებიდან გამომდინარე, და ამ დროს რომ დემაგოგობ, მტერი ხარ, მოღალატე და აფერისტი, აბა, სხვა რა სახელი ჰქვიათ, ნეტა, თავად თუ იციან ვალერამ და „აქუმ"?!

კონსტიტუციის დამრღვევები არიან ჩვენი ხელისუფალნი და მოვა დრო, სასჯელის პირისპირ აღმოჩნდებიანო.

ყველაფერი რიგითობითაა, ჩემო ვალერ და „აქუ", ჯერ მიშიკო, მერე თქვენი ამფსონები, შემდეგ თქვენ და მერე ვნახოთ, რა სიმძიმის დანაშაულები ექნება თქვენთან შედარებით იმ ხელისუფლებას, რომლის მობილიზებულობამ ამ მოულოდნელად თავსადატეხილი გაურკვევლობის დროს ყველა გააკვირვა.

დღეს და ღამეს ასწორებს პრემიერის აპარატი ისევ თქვენი და თქვენი ოჯახების გადასარჩენად. თქვენ კიდევ ქვას და ფურთხს ისვრით, ბოღმისგან მეტს ვერაფერს აკეთებთ და იძახით: სამხედროებს ჩააყენებენ ყველგან, საშვი გამოიწერება ყოველ მოქალაქეზე მაღაზიაში ჩასვლის უფლებით, ხოლო საშვი ერთჯერადიაო და ა.შ.

„აქუ" და ვალერა ჟივჟივებენ, მედიას გამოხატვის უფლება შეეზღუდება და „კაკ რაზ", ეს უნდოდა ამ ხელისუფლებასო.

გამოხატვის უფლება, წესით, „კავკასიისნაირ" ბუტკებში მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებებს და დეზინფორმაციულ შხამებს უნდა შეეზღუდოს, თქვენაირი ჭაობებიდან რომ იფრქვევა დემოკრატიის სახელით, მაგრამ თქვენ მაინც ფრთები გაქვთ გაშლილი და გისმენთ თქვენნაირი პარაზიტების მიერ დაზომბირებული ელექტორატი — ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც ამ ჟამიანობის დროსაც უმოწყალოდ ზაფრავთ, აშინებთ და აბოროტებთ.

მიშას სუბსიდიებით გასუქებულ-გაქსუებული ვალერა თავს აკანტურებს კვირაში ორ-სამჯერ „აქუს" და მისი „ტურფა" „ჯანგირას" ტელე-„წისქვილში" და აქუბარდიასთან ერთად ცდილობს „სოფელი" ააშენოს...

ე, ბიჭო, „აქუ", ჩაყავი ფეხი ძმრიან ცხელ წყალში, იყიდე, შე ოხერო, „კორეგა" და დაგვანებეთ, რა ორივემ თავი!...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვეტერანი „ახალგაზრდის“ წერილი ახალგაზრდა მთავრობას

მე ვეტერანი ახალგაზრდა ვარ, სულ ახლახან 72 წლისა შევსრულდი, მაგრამ სულით, ჯანის სიმხნევით, ნამდვილად ახალგაზრდა ვარ, ოღონდ ვეტერანი.

ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ამ ოხერმა კორონა ვირუსმა ამიწეწ-დამიწეწა საათივით აწყობილი ცხოვრება.

— 70 წლის ზევით ვინც ხართ, დაეტიეთ სახლში და ცხვირი არ გამოჰყოთ გარეთო, — შემომითვალა მთავრობამ.

მთავრობას რა ენაღვლება — სულ ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, მაგრამ მე რა ვქნა, მე, რომელმაც, ასაკიდან გამომდინარე, ჩემი ახალგაზრდა მთავრობის ბრძანებით, თვითიზოლაცია უნდა გამოვაცხადო და სახლში უნდა დავჯდე ბაიყუშივით.

სხვათა შორის, ბატონი თენგიზ ცერცვაძე და მე ტოლები ვართ (მე ბატონ თენგიზზე მხოლოდ ერთი დღით ვარ უფროსი), არ იქნებოდა დიდი სისულელე, ბატონი თენგიზისთვის ვინმეს ეთქვა, შენ 70 წელს ხარ გადაცილებული და სახლიდან არ გამოხვიდე და ჩვენ, ახალგაზრდები, მივხედავთ საქმესო?

არც ბატონი ამირან გამყრელიძეა პატარა ბიჭი და ბარემ ისიც ჩაგვესვა „კლეტკაში“.

70 წელს გადაცილებული სხვა ექიმებისთვისაც ხომ არ აგვეკრძალა გარეთ გამოსვლა?

თუ ამას გავაკეთებთ, აი, მერე ნახეთ თქვენ „კორონა ვირუსის“ გალაღება და გახარება — ისევ მათ, ცერცვაძის და გამყრელიძის თაობას მოსდევს ცოდნა და გამოცდილება და მათაც თუ განვაიარაღებთ, ხომ შეგვჭამა ცოცხლად ამ ოხერმა კოვიდ-19-მა?

სხვათა შორის, სანამ ეს კორონა ვირუსი შემოგვიჩნდებოდა, მანამდე ყველანაირ კორონავირუსზე უარესი კორონავირუსი, მიხეილ სააკაშვილი, გადაგვეკიდა — წითელი ინტელიგენცია ხართ თქვენ და უნდა ჩაგრეცხოთო და... ჩაგვრეცხა კიდეც...

უამრავი მაღალი დონის სპეციალისტი, დოქტორები, პროფესორები, ღვაწლმოსილი ადამიანები, მეცნიერები, ექიმები, მასწავლებლები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა. „ჩაირეცხა“ მაშინ ამ დიდი „რეფორმატორის“ მიერ.




რა წითელი ინტელიგენცია, რისი წითელი ინტელიგენცია — ჩვენ ვიყავით წითელი ინტელიგენცია და ეგ არ არის თავის წინაპრებიან-ნათესავებიანად?

37-იან წლებში ბაბუაჩემი რომ დახვრიტეს, მაგისი ბაბუა „უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე იყო, მე და ჩემს მეგობრებს კგბ რომ დაგვდევდა, მაგის ბიძა კგბ-ს გენერალი იყო, თვითონ კი კგბ-ს კადრების სამჭედლოში სწავლობდა.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ჩვენ ვართ „წითლები“ და ის არა?!

„მიხო-კორონავირუსი“ კი გადაშენდა, მაგრამ მისი გადაშენების შემდეგაც არ შეცვლილა დიდად უფროსი ასაკის ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული შეფერილობის მიდგომა, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარებისთვის უკიდურესად საზიანო შეცდომა მგონია.





როცა ოჯახში ახალგაზრდები იწყებენ უფროსობას და უფროსებს ყურს არ უგდებენ, იმ ოჯახში რაღაც ვერ არის წესრიგში.

სახელმწიფოც დიდი ოჯახია და არ შეიძლება, ამ დიდ ოჯახში თაობათა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ბალანსი დაირღვეს.

კი, ბატონო, ჩვენზე ზრუნვის გამო ითქვა მთავრობის მიერ ის, რაც 70 წელზე ზევით ადამიანების მისამართით ითქვა, თუმცა, ვფიქრობ, ეს სულ სხვა ფორმით, უფრო დელიკატურად, ამ ადამიანებისთვის ნაკლებ მტკივნეულად უნდა თქმულიყო.

**ვლადიმერ ბ-ძე**
ვეტერანი „ახალგაზრდა“
თბილისიდან

# ტრაქტატი ღორობის წინააღმდეგ



**ნუ იქნები ღორი**, ნუ შეეცდები ასი კაცის სამყოფი შაქარი და მაკარონი, წიწიბურა და ბრინჯი შენ ერთმა წაიღო შენს ბუნაგში და სხვები მშიერი დატოვო.

**ნუ იქნები ღორი**, ნუ შეეცდები ასი კაცის სამყოფი ეფექტ-ფლუ და ტამიფლუ, ნოშ-პა და კაპტოპრილი შენ ერთმა გაზიდო აფთიაქებიდან და სხვები უწამლოდ დატოვო.

**ნუ იქნები ღორი**, ნუ ყიდულობ ერთბაშად ას ცალ საპონს და ას შეკვრა ტუალეტის ქაღალდს — სხვებსაც სჭირდებათ ხელ-პირის დაბანა და სხვა ჰიგიენური საშუალებები.

**ნუ იქნები ღორი** და მით უმეტეს, თავს ნუ მოიწონებ მეზობლების და ნაცნობების წინაშე იმით, რომ ასი კაცის სამყოფ საჭმელ-სასმელს და მედიკამენტებს მიეზიდები.

— რა მაგარი ღორი ყოფილაო, — ამბობენ ისინი შენზე და ზურგსუკან დაგცინიან.

**ნუ იქნები ღორი** — კორონა ვირუსი გადაივლის, ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდება, შენ კი ღორის სახელი შეგრჩება სამარადისოდ.

**ნუ იქნები ღორი** — გვესმის, რომ ცოლ-შვილი გყავს, მოხუცი მშობლები გყავს და გეშინია, რომ დაგემშეს, მაგრამ, გახსოვდეს, რომ სხვებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი, სხვებსაც ჰყავთ მშობლები და შენ იმათ ძარცვავ, იმათ ართმევ მათ წილ საკვებს და მედიკამენტებს.

**ნუ იქნები ღორი** და ნუ აფიქრებინებ ადამიანებს, რომ რასაც აკეთებ, იმიტომ აკეთებ, რომ კიდევ უფრო თუ გაჭირდება, დღეს იაფად ნაყიდ პროდუქტებს და წამლებს მამასისხლად მიჰყიდი მათ, ვისაც ის წაართვი და წაგლიჯე.

**ნუ იქნები ღორი** და თუ მაინც ადამიანობას ღორობას არჩევ, ამიერიდან ნუ იტყვი, რომ კარგი ქართველი ხარ, კარგი ვაჟკაცი ხარ, პატრიოტი ხარ...

გმირობას არავინ გთხოვს, უბრალოდ, **ნუ იქნები ღორი, იყავი ადამიანი!**



# ადამიანს მთელი ცხოვრება დედის მადლი უნდა დაჰყვებოდეს

***„საერთო გაზეთის სტუმარია პოლიტიკური გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის“ წევრი, დიზაინერი***
*თათა ვარდანაშვილი:*

**— თათა, 90-იან წლებში თქვენი ფეხსაცმელები ძალიან პოპულარული იყო, თუმცა, ბოლო ხანებში ნაკლებად აქტიურობთ ბიზნესში. მოგვიყევით, თქვენს შესახებ, ამჟამად რას საქმიანობთ?**

— 1994 წელს სამხატვრო აკადემია დავამთავრე, შემდეგ, გავთხოვდი, შემეძინა დემეტრე და სწავლა ასპირანტურაში გავაგრძელე. 1998 წელს სახელობო სკოლების უფროსი პედაგოგის წოდება მომენიჭა. როგორც პედაგოგს დიდი პრაქტიკა მაქვს. ამ დარგში ფართოპროფილური სახელობო-საგანმანათლებლო ცენტრი ჩამოვაყალიბეთ და დიზაინის სკოლა დავაარსეთ, სადაც ბავშვებს მოდელირება-კონსტ-



რუირებას ვასწავლიდით. პროგრამები გერმანიაში შევიძინეთ. სამგანზომილებიანი მანქანების მართავა არ გასჭირვებოდათ. სამგანზომილებიანი მანქანა-დანადგარების მართვის ლიცენზია 2003 წელს იტალიაში მოვიპოვე. სწორედ ამ პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო სახელობო-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსება. საბოლოო ჯამში, მიზანი შემდეგი იყო: საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე დაგვეწერა — დამზადებულია ევროპაში და მუშახელის კვალიფიკაცია ევროპაში არსებულ ტექნოლოგიებთან იდენტური ყოფილიყო. საწარმოში 500 ადამიანი მყავდა დასაქმებული აქედან, 200 სტუდენტი იყო. ახლა, გადავწყვიტე და მოდის თანამედროვე სკოლა დავაარსე, სადაც პატარა ბავშვებსაც მივცემ საშუალებას საყვარელ პროფესიას თავიდანვე დაეუფლონ. რაც მთავარია, ვცდილობ: ეს ყველაფერი ქართულ კულტურულ ფესვებსა და ტრადიციებზე იყოს დაფუძნებული. პირველივე გაკვეთილზე მოსწავლეებს მაცხოვრის კვართის ისტორიას ვუყვები, რაც საფუძვლად უდევს მართლმადიდებლური ცხოვრების წესს, ქვეყნის კულტურას. ეს ჩვენი ისტორიის ქვაკუთხედია. კვართი ღვთისმშობელმა მაცხოვარს მოუქსოვა, რომელსაც იგი მთელი ცხოვრება ატარებდა. ანუ, აქედან, რა უნდა ვისწავლოთ? — ადამიანს, დედის ხელიდან, მთელი ცხოვრება მადლი დაჰყვება, რაც მას იცავს, იფარავს. ბავშვები გულისყურით მისმენენ და აანალიზებენ: როცა თავადაც დედები გახდებიან, თავიანთი შვილებისთვისაც იგივეს გააკეთებენ. ამგვარად, მათ ცუდად მოქცევის სურვილი აღარ უჩნდებათ. ანუ, ეს ძირძველი ტრადიცია, რაც ქართველ ქალს მსოფლიოს სხვა ერების ქალბატონებისგან გამოარჩევდა, თითოეულ ბავშვში დევს. მას ამ გრძნობას თუ გაუღრმავებ, იგი თავის ისტორიულ ფესვებს მიუბრუნდება, რაც მყარი საფუძველია იმისა, რომ ქვეყანა გადარჩება და აღორძინდება.

**— თათა, თქვენ, „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ წევრი ხართ. რატომ გადაწყვიტეთ აქ გაწევრიანება?**

— სოციალ-დემოკრატები თავისუფალ საქართველოსთან, განათლებულ ქვეყანასთან, შემართებულ ადამიანებთან და დიდსულოვნებასთან ასოცირდება. სწორედ და ამ ნიშნით ავირჩიე ეს პარტია, რადგან მთელი ჩემი ახალგაზრდული ცნობიერების იდეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილია. ახლაც, როცა მიჭირს ხშირად ავდივარ მთაწმინდაზე და დიდხანს ვზივარ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას საფლავთან, ჩემს ისტორიულ ფესვებს ვუახლოვდები. რაც კი წამიკითხავს, თავისუფალი საქართველო, სოციალ-დემოკრატებთან ასოცირდება. ეს არის ის, რის გამოც პარტიაში გავწევრიანდი. აქვე, აღვნიშნავ, რომ თავად პარტიის ლიდერი ბატონი **გია ჟორჟოლიანი** ძალიან გაწონასწორებული, ჩამოყალიბებული, პატრიოტი პოლიტიკოსია. იგი სხვა პოლიტიკოსებისთვის მისაბაძია პიროვნებაა. მან ზუსტად იცის რა უნდა, ნათლად ხედავს როგორ უნდა განვითარდეს საქართველო, რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყანა რათა ეკონომიკა აღორძინდეს, განათლებას ჰქონდეს მყარი საფუძველი და განათლებულმა ახალმა თაობამ ახალი საქართველო შექმნას. მოხდა ძველი, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის თანხვედრა მის დღევანდელ პარტიულ ხელმძღვანელთან, რომელიც მკვეთრად გამოხატული ლიდერი და სანდო პიროვნებაა.



**— თუ პარტია საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს და პარლამენტარი გახდებით, რა იქნება ის უმთავრესი ამოცანა, რის განხორციელებასაც პირველ რიგში შეეცდებით?**

— ჩემი მოტივაცია პარლამენტში მოსახვედრად შემდეგია: მინდა ქვეყანაში სახელობო-საგანმანათლებლო რეფორმა განხორციელდეს და სკოლაში შრომის გაკვეთილების სწავლება აღდგეს. ვფიქრობ, ბავშვი შრომას ბაღის ასაკიდან უნდა მიეჩვიოს. თუ პარლამენტის წევრი გავხდი პირველ ნაბიჯებს გადავდგამ, რათა განათლების სტრუქტურაში რეფორმა განხორციელდეს და ჩვეულებრივად, სასკოლო პროგრამაში შრომის გაკვეთილები შეიტანონ. ბავშვმა ჯერ შრომის უნარები უნდა გამოიმუშაოს, მერე, ეტაპობრივად მისთვის ახლომდგომი პროფესია აირჩიოს, რითაც დაკავდება და საბოლოო ჯამში, სკოლის დამთავრებასთან ერთად რაიმე პროფესიის დამადასტურებელი მოწმობა მიიღოს, რათა იგი საზოგადოებაში არ დაიკარგოს და თავისივე ხელობით საკუთარი თავის რჩენა შეძლოს. იგი ჩართული და თავად უნდა იყოს მონაწილე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე, ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებაში, მის აღმავლობაში. ანუ, ქვეყნის განვითარებაში თავისი წილი აგური დადოს. დიახ, მოქალაქე თავად უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესებში — პირველ ეტაპზე ქვეყნის გადარჩენაში, მერე, მის სწორად განვითარებაში და საბოლოო ჯამში, მან ეს ყველაფერი გააკეთოს როგორც თავისი ქვეყნისთვის, ისე შვილებისა და ოჯახის საკეთილდღეოდ. ეს გახლავთ ამ პარტიის მიზანი, რასაც თავიდან ბოლომდე ვიზიარებ და თუ ეს გამოგვივიდა, ბედნიერი ვიქნები.

**— როგორ ფიქრობთ, გამარჯვების რა შანსები აქვთ „სოციალ-დემოკრატებს“? მე, თუ მკითხავთ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სწორედ ამ პარტიის იდეალების გამზიარებელია.**

— სამწუხაროდ, დღეს სატელევიზიო სივრცე ოკუპირებულია. ჩვენ, აზრის გამოსახატად საეთერო სივრცე არ გაგვაჩნია. ყველა ადამიანმა იცის ძველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის საფუძველი, მისი სულისკვეთება. უბრალოდ, მგონია, რომ ეს სულისკვეთება ადამიანებში მიძინებულია და თუ სწორ მიმართულებას მიიღებს, ერში ეროვნული ავტორიტეტი, ღირსება, პატრიოტული სულისკვეთება, აუცილებლად, გაიღვიძებს და სწორ შედეგს მოიტანს. მგონია, რომ არც ღვთისმშობელი მიგვატოვებს და ქვეყანას დასაღუპად არ გაიმეტებს.

**— მთავარი მიმართულებები, ალბათ, მაინც სახელმწიფოს შექმნა, ცოდნა და ბიზნესია. თქვენ ბიზნესში დიდი გამოცდილება გაქვთ. რას გვეტყვით, რამდენად ხელშეწყობილია დღეს ეს სფერო?**

— ამ კუთხით, ქვეყანაში რამდენიმე რეფორმა სწორად განხორციელდა, მათ შორის, მიკრობიზნესი, მცირე მეწარმე და ა.შ. ერთი, გულისხმობს საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლებას, მეორე შემთხვევაში მცირე მეწარმეს საშემოსავლო განაკვეთი 30 ათას ლარამდე ბრუნვა თუ აქვს, საშემოსავლოს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ ერთ პროცენტს იხდის. ეს ნაბიჯები გადაიდგა. ტურიზმის ხელშეწყობის მხრივაც არის სიახლეები. მცირე ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ქვეყანაში გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი მომწონს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მსხვილი ბიზნესი იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ ფინანსური რესურსი რამდენიმე დაჯგუფების ხელში აღმოჩნდა და ასე, მცირე ბიზნესის განვითარება ძნელია. სრულად ვიზიარებ „სოციალ-დემოკრატების“ ხედვას თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა, რათა დარგობრივი ეკონომიკა აღორძინდეს.



**— ბოლოს, გვითხარით, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— დავნერგეთ ონლაინ სწავლების მეთოდი — შეგვიძლია ადამიანს სახლიდან გაუსვლელად, გარკვეული პროგრამის მიხედვით, პროფესია სახელოსნოდან შევასწავლოთ. ეს სწავლება გორში სამკერვალო „ლიდერში“ დავნერგეთ, სადაც კერძო პროფესიის სკოლაა. გორში ჩასვლა თვეში ერთხელ მიწევდა, დანარჩენი კვირაში სამი დღე ჩემი სახელოსნოდან ვერთვებოდი, ძალიან კარგი შედეგები გვაქვს. სამომავლოდ, კარგი იქნებოდა მსგავსი რამ საზღვრისპირა სოფლებში თუ დაინერგებოდა. ეს სახელმწიფოს ძვირი არ დაუჯდება იმიტომ, რომ ერთ გაკვეთილში, პარალელურად, შეიძლება 100 ოთახი გაიხსნას და ამ წერტილებიდან ადამიანები ჩაერთონ. ამ პროგრამის განხორცილებას მთელი საქართველოს მასშტაბით ვგეგმავთ. რეგიონებში, ეს, აპრობირებული მეთოდია. ჩემს სასწავლებელში ეს 2007 წელს უკვე არსებობდა, გერმანიიდან გვერთვებოდნენ და სტუდენტებს პროფესიას ასწავლიდნენ. ამით რეგიონებს დავეხმარები, რომ თვითდასაქმების კულტურა გაჩნდეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „პაშოლ, ვასია, პაშოოოოლ“!!!

იცით, ვინ არის ვასილ სოფრომაძე? არ იცით? სირცხვილი და თავის მოჭრა!

ალბათ „ფრესკო“ მაინც იცით, სავაჭრო ქსელი, სადაც თანამშრომელ გოგოებს ვიდეოკამერებით აკონტროლებენ და იქიდან გამოსულებს, ყოველ დილით, 9 საათსა და 00 წუთზე საქართველოს ჰიმნს ასმენინებენ გულის ფიცარზე ხელის დადებით. აღარაფერს ვამბობ სასაცილო ანაზღაურებასა და პერიოდულად მიიმასქნებული პროდუქციის გაპარებაზე. მოკლედ, ვასილ სოფრომაძე არის ამ „ფრესკოს“ დამფუძნებელი და მეპატრონე.

მოდით, ამ ეტაპზე შევეშვათ მის მაღაზიებს, იყიდე-გაყიდე და ვაჭრუკანობა არ მაინტერესებს... სამიოდე დღის წინ ჩასისხლიანებული თვალებით გამოვიდა ნიკო გვარამიას საკანალიზაციო არხზე და ბოლომდე აუშვა აფრები:

„გაგებაში არ არიან ესენი არაფრის! ეს მთავრობა ვერ გაუძლებს ამ კრიზისს. სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს ქვეყანაში! მისი ანტიკრიზისული ნიჭი სჭირდება დღეს ქვეყანას“!




კარგი, ნუ იცინით, მაცადეთ, სათქმელი ბოლომდე გითხრათ... ესე იგიო, აცხადებს ბატონი სოფრომაძე, დღეს ამ ქვეყანას მიხეილ სააკაშვილის ანტიკრიზისული ნიჭი სჭირდებაო. ნეტავ როგორია ანტიკრიზისული ნიჭი? ააა... მივხვდი, გორში რომ ჩახვალ დაცვის თანხლებით, ტყვიაგაუმტარი ჟილეტით, თვითმფრინავის ხმას რომ გაიგონებ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რომ თავზე გადაახტები, მინდორ-ველებს გადახნავ და დაცვას გაასწრებ, ეგ არის ანტიკრიზისული ნიჭი. ვასოს მოსწონს მხედართმთავარი მიხეილი, მოსწონს მისი სტრატეგია, გამბედაობა და უხორცობა. თვითონაც ეგეთია და ამიტომ, მას ძალიან დიდი გული აქვს, ოღონდ ქალებთან. ამ დღეებში განაცხადა, უფრო სწორედ, ხელისუფლებას მიმართა, თქვენ ბიზნესი ქალი ხომ არ გგონიათ, როგორც გინდათ, ისე იხმაროთო? მაგარი მიგნებები აქვს ბატონ ვასოს, თან პოეტური, თან პროზაული. სხვათა შორის, მანამდე ეს ხელისუფლება გააფრთხილა, ბიზნესს ნუ ექცევით, როგორც ქუჩის ქალს, თორემ ბიზნესი საკადრის პასუხს გაგცემთო. საერთოდ, ადამიანი როცა ყურადღებას მუდმივად ამახვილებს რაღაცაზე ან ვიღაცაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ამ მხრივ პრობლემები აქვს. მაგალითად, ვისაც რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობები აქვს. ბატონი ვასილი ისე ხშირად ახსენებს ქალებს უხეშ კონტექსტში, აშკარად აქვს რაღაც პრობლემა. კაი, დავანებოთ ამასაც თავი, ჩემი სტატიის უარყოფითი პერსონაჟი აცხადებს:

„მე არასდროს არ ვყოფილვარ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, არც ერთი პარტიის წევრი, არც პოლიტიკაში მოსვლას ვაპირებ, არც სკამის დაკარგვის მეშინია, ამიტომ ვიტყვი ხმამაღლა იმას, რასაც ვიტყვი – მე მოვუწოდებ საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ეხლავე მისწეროს საქართვალოს ეხლანდელ პრეზიდენტს თხოვნა იმის შესახებ, რომ დაუბრუნონ მას მოქალაქეობა, სააკაშვილი უნდა დაბრუნდეს ქვეყანაში. სააკაშვილი იყო ის კაცი, ქვეყანა რომ გამოიყვანა ამ სიტუაციიდან, სააკაშვილი იყო ის კაცი... ჩემნაირმა ხალხმა... მე 2011 წელს ჩამოვედი, არც ვაპირებდი საქართველოში ჩამოსვლას, შემთხვევით მოვხვდი საქართველოში და როცა დავინახე, რაც ხდებოდა, ათეულობით მილიონი დოლარი ჩავდევი და ათასობით სამუშაო ადგილი შევქმენი, რა თქმა უნდა, აქვს ამ ადამიანს ნიჭი. გამოვიყენოთ ეს ნიჭი და მერე აგოს სააკაშვილმა პასუხი ხალხის წინაშე, რა ჩაიდინა, რა არ ჩაიდინა, რამდენად სწორად გაასამართლეს 5 პიჯაკის გულისათვის, თუ არასწორად გაასამართლეს, არავის არ აინტერესებს დღეს ეს თემა. საქართველოს ხელისუფლებას და ბატონ გახარიას, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ ვერ გააკეთებს ეს ადამიანი... ერთი წუთით, წინაალმდეგი როგორ არა ვარ, ის 20 ივნისის საქმე და ყველაფერი, მაინც გამოსაძიებელი იქნება და არავინ არავის არაფერს აპატიებს, მაგრამ ისტორიიდან მოგიყვანთ მაგალითს, დიქტატორი, სისხლისმსმელი, რომელმაც თავისი ოჯახი არ დაინდო, მისი შვილი არ დაინდო, მეუღლე არ დაინდო, მეუღლის ნათესავები არ დაინდო, ქალი, დიდი, კაცი, მოხუცი არ დაინდო – სტალინი, რომელიც არასოდეს არ ეპუებოდა არავის აზრს, სტალინი, რომელიც მხოლოდ თავისი აზრით ცხოვრობდა, როდესაც ნაცისტური გერმანია მიადგა დედაქალაქს, იმდროინდელი სახელმწიფოს დედაქალაქს, მან ციხიდან გამოიყვანა ყველა ის გენერლები, რომლებიც ჩამსხდარნი იყვნენ ციხეში“.



არ აპირებდა ბიჭი საქართველოსი ჩამოსვლას... ჩამოვიდა 2011 წელს და ოდეს დაინახა, რაც ხდებოდა, დარჩა და მილიონები ჩადო ბიზნესში. საინტერესოა, რა ხდებოდა? როგორც მახსოვს, 2011-ში „ნაციონალებს“ დედები ეტ...ვნებოდათ, ნუთუ ამან შეაწუხა ბატონი ვასილი? თან ამტკიცებს, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არც პოლიტიკაში მინდა მოსვლაო. ვინ მოუშვებს, თორემ კი უნდა ხოლმე შიგა და შიგ. 2000-დან 2003 წლამდეც უნდოდა, როცა პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა და ჯუმბერ პატიაშვილის პარტია „ერთობაში“ გაწევრიანდა. როგორც მისი ნაცნობები ამბობენ, მაშინ ბევრი ფული არ ჰქონდა და შესაბამისად, არც ეგრე ძალიან უბერავდაო. მისწერე, მიხეილ, ეხლანდელ პრეზიდენტს, რომ მოქალაქეობა დაგიბრუნოს, ჩამოდი და ეგრევე ჩაერთე საქვეყნო საქმეებში, გიორგი გახარია მაინც ვერ გაართმევს თავს ამდენ საქმეს, 21 აპრილამდე ვერ გაატანს, შენი ანტიკრიზისული ჭკუა და გონება გვჭირდებაო. აბა, ახლა არის ეს ადამიანი ნორმალური? მგონი არც გაუგია, რომ სააკა ძებნილია და მისჯილიც კი აქვს. ვითომ კარგ რამეს ეუბნება ვასიკო, სინამდვილეში კი პირდაპირ ციხისკენ უბიძგებს. ისაო, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და სტალინს გაუჭირდა, ყველა გენერალი გამოუშვა ციხიდან, ახლა ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთო. როცა ყველაფერი დასრულდება, გახარიას დასჯას მერეც მოვასწრებთო. ისე, დაკვირვებული ვარ (ან კი რა დაკვირვება უნდა?), როგორც კი ქვეყანაში რამე პრობლემა გაჩნდება, ვასილი ეგრევე გამოჰყოფს ხოლმე კუსავით ფეხსა და იწყებს უაზრო ბლატაობას, მეც აქ ვარ, არაფერი შეგეშალოთო!

### სახალისო ისტორია

რამდენიმე წლის წინ, როცა ერთ-ერთ გაზეთში ვმუშაობდი, ერთი ჩემი კოლეგა აღშფოთებული მოვარდა, „ფრესკოში“ დამპალი ქათამი შემომატყუეს, უკან მივიტანე და აღარ მიიღესო. ავტეხეთ ამბავი, გამოვიკვლიეთ და ვასილის ქსელში უამრავი დარღვევა აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამ ყველაფრის თაობაზე პრესაში გამოვაქვეყნეთ. გაბრაზდა ვასილი, ჯერ ღია წერილი გაავრცელა, სადაც ხაზგასმით მომწერა - „მკიდიხარო“! შემდეგ კი სასამართლოში იჩივლა, ესა და ეს გაზეთი, ესა და ეს ჟურნალისტი ჩემს პრესტიჟს ლახავს, ბიზნესის კეთებაშიც ხელს მიშლისო... ამიტომაო, გთხოვთო, დააკისროთ ჩემ სასარგებლოდ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის გადახდა და დაავალოთ ინფორმაციის უარყოფაცო. იმდენი იჩალიჩა, მილიონი არა, მაგრამ სასამართლომ გვითხრა, ოღონდ ეს ადამიანი მოგვაშორეთ, თუ უნდა, ბოდიშს ჩვენ მოვუხდითო. ეგრევე აჟიტირდა ბატონი ვასილი, პროცესი მოვიგეო, სასამართლომ დაადასტურა, რომ მე წმინდანი ვარო. აქ ერთი ფაქტორია საგულისხმო: დავუშვათ, გაგიჟდა მოსამართლე და დაგვაკისრა მილიონის გადახდა, ამ შემთხვევაში ხომ ნებისმიერი ქართული გამოცემა დასახურადაა განწირული? ესე იგი, ბატონი ვასილი იმდენად იყო გაავებული, გაბოროტებული, გადაბოღმილი, მზად იყო, დამოუკიდებელი მედია ჩაეხშო. წარმოგიდგენიათ, რა პიროვნებასთან გვაქვს საქმე? კი, ბატონო, დარწმუნებული ვარ, არც ერთი მოსამართლე ამას არ იზამდა, მაგრამ ამას, ამ სოფრომაძეს ხომ გაუჩნდა სურვილი?

საერთოდ, რომ იცოდეთ, ეს ადამიანი ასეთი ბუნებისაა, ჩივილი მისი ერთგვარი ჰობია - უჩივის ყველას, დიდს თუ პატარას...

●

ერთ-ერთ ინტერვიუში ვასილ სოფრომაძეს ჟურნალისტი ეკითხება: „როგორი იყო თქვენი, როგორც ბიზნესმენის, პირველი ნაბიჯები“?

ვასილის პასუხი: „რა არის ბიზნესი? საქმე! ვინ არის ბიზნესმენი? საქმის კაცი“!

კი, ბატონო, ის უდაოდ არის, ავად თუ კარგად, საქმის კაცი, მაგრამ პოლიტიკაში არის სრული დუპლეტი. მას იმდენად აქვს მიხეილის სიყვარული ძვალსა და რბილში გამჯდარი, ხშირად გონება ებინდება და ბოდვა ეწყება. ჯერ ერთი, შენ, ვასილ სოფრომაძევ, როგორ ბედავ, როგორ კრიახობ კვერცხმომდგარი ქათამივით მაშინ, როცა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული და მთელი სახელმწიფო, მოსახლეობა გადართულია ერთ დიდ პრობლემაზე? ვინ ხარ შენ, ვის ემუქრები და რას ბოდიალობ, ვის დასჯას ითხოვ ამ გაგანია საგანგებო მდგომარეობის პირობებში, რომელმაც მხოლოდ საქართველო კი არა, მთელი მსოფლიო შეცვალა? დიახ, ასეთი ბინძური გამოხტომა არის საბოტაჟი, პანიკის თესვა და მავნებლობა.

ვიცი, ახლა დაიწყებ წუწუნს, გელამ რეტიანი მიწოდა, ამით შელახა ჩემი უზადო რეპუტაციაო. ამ შემთხვევაში შენსავე სიტყვას გავიმეორებ: მკიდიხარ! ასევე ყველა მკიდია, ვინც ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ წავა ამ ძნელბედობის ჟამს. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს დაუდგე გვერდით, ფინანსურად დაეხმარო, ზემოდან ყვავივით დაგვჩხავი.

„პაშოლ, ვასია, პაშოოოლ“!!!




**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ომი ზეცაში უკვე დაიწყო...

## დარჩით თქვენს „გამოქვაბულებში“, რათა გადარჩეთ



კორონა ვირუსი — COVID-19 მსგავსი შემთხვევები პირველად სამხრეთ ჩინეთში გამოჩენილა 2002 წელს. ამ ხნის განმავლობაში, 2020 წლამდე 20-ზე მეტ ქვეყანაში ამ ტიპის დაავადებას 800-მდე ადამიანი შეუწირავს.

ვირუსული ინფექცია ცხოველებიდან ადამიანებზე გადადის.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ამბობს, რომ 2012 წელს ასეთი ვირუსი საუდის არაბეთში ადამიანს აქლემისგან გადაედო. არსებობს ინფორმაცია, რომ, თითქოს, კორონა ვირუსი გამოიწვია 5G ტექნოლოგიების დანერგვამ, 5G გადამცემებისა და ანტენების დამონტაჟებამ უჰანსა და იტალიაში.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, სწორედ ამ 5G ტექნოლოგიების დანერგვამ გამოიწვია ადამიანის სისხლის მოდულის შეცვლა, ჟანგბადის მიწოდების შემცირება, იმუნური სისტემის უკიდურესი დასუსტება, რასაც მოჰყვა ახალი ვირუსის ფორმირება და მასიური გავრცელება.

მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ანტიბიოტიკები მის წინააღმდეგ ეფექტური არ არის. ანტივირუსული მედიკამენტების გამოყენება შეუძლებელია და დაავადებისგან თავის დაღწევა იმუნური სისტემის სიძლიერეზეა დამოკიდებული.

ვირუსი მთელ მსოფლიოს მოედო და ვარაუდობენ, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის დაავადების გავრცელების სიძლიერის პიკი.

მსოფლიოში მატულობს ქსენოფობიისა და რასიზმის გამოვლინებანი.

კორონა ვირუსმა სრულიად შეცვალა ჩვენი გარემომცველი სამყარო და ყველას თვალნათლივ დაანახა ის, რომ სამშობლო, შენი ქვეყანა არის შენი სახლი, სადაც თავს მშვიდად გრძნობ და სადაც, ასე თუ ისე, დაცული ხარ.

სხვათა შორის, საქართველო არასდროს ყოფილა უმდიდრესი ქვეყანა (დავით და თამარ მეფეების დროის გარდა), მაგრამ აქ ცხოვრობდა ქართველი კაცი, თავის მიწაზე, თავის მამულში, თავისი წინაპრების მიწა-წყლის პატრონად...

●

როცა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ ურთიერთობებს ვაკვირდებოდი, ყოველთვის წარმომედგინა კაცობრიობა პირველყოფილი სახით, სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილას დასახლებული ხალხით, თავიანთ პირველყოფილ სადგომებში ჯოგებად, ტომებად, ერთად, სხვადასხვა სულიერი კულტურით.

ეკლესიასტეს არ იყოს, „არაფერია ახალი მზისქვეშეთში“ და არც ადამიანთა ცხოვრების წესებია ახალი. ჩვენ იგივე ვართ, რაც ვიყავით გაჩენის დღიდან — არააგრესული, კულტურული „ჯოგი“ კავკასიის სამხრეთ ნაწილის „გამოქვაბულიდან“ და ნუ გავითქვიფებით უცხო ტომებში, საკუთარ „გამოქვაბულებში“ დავრჩეთ..

კორონა ვირუსმა და სხვა მოსალოდნელმა თუ მოულოდნელმა ვირუსებმა დაგვანახა, რომ მეზობლობა და მეგობრობა კარგია, საუკეთესოა და აუცილებელია, მაგრამ საკუთარი სახლი, საკუთარი „ტომი“, საკუთარი ქვეყანა, ყველაზე უკეთესი.

საზღვრები ჩაიკეტა, ტურიზმი მოკვდა, შეფერხდა სავაჭრო ურთიერთობები, მსოფლიოში აღარავის ახსოვს ნატო და ევროკავშირი. ყველა საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე ფიქრობს და დადგა რეალობა, რომ საკუთარი მიწა ყველაზე საიმედო გამომკვებავია, საკუთარი ჰაერი ყველაზე ჯანსაღი და ტრადიცია — დროში გამოცდილი, აუცილებლობით ნაკარნახევი და ზნეობრივი და ფიზიკური პათოლოგიებისგან დამცავი...

●

მესიის მოსვლის წინასწარმეტყველებებში აღწერილი ვითარებები თითქმის ერთი ერთში იმეორებს მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას.

ომი ზეცაში უკვე დაიწყოო, ამბობენ ებრაელი რაბინები და ეს ომი მალე დედამიწაზეც გადმოინაცვლებსო.

სავარაუდოდ, სააღდგომო სასწაულებს — წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას მორწმუნენი იერუსალიმში აღარ დაესწრებიან, თუმცა უდიდესი იქნება მოლოდინი მართლმადიდებლებისთვის და სხვა მორწმუნეთათვის, გადმოვა თუ არა სააღდგომოდ წმინდა ცეცხლი მართლმადიდებელი მოძღვრის ხელში.

ყველაფრის მიუხედავად, ყველა თანხმდება იმაზე, რომ არსებული რეალობის მიზეზი ადამიანის ზნეობრივი დეგრადაციის შედეგია, იმ ადამიანისა, რომელიც მთლიანად მოსწყდა თავის ღვთაებრივ საწყისს, ფულის კერპის, უსამართლობის, ტყუილის და ღალატის გამო თავად ინადგურებს და იღუპავს სულს, რომლის გარეშე ის არა მხოლოდ უსიცოცხლო და მყრალი გვამია, არამედ ღვთის სულის, როგორც ებრაელები ეძახიან, რუახ ელოჰიმის გარეშე დარჩენილი არარაობა, უღირებულებო და უსარგებლო, ზედმეტი ბარგი.

როგორც ამბობენ, ვირუსი ჩინეთში ამერიკელმა ჯარისკაცებმა შეიტანეს, სხვა მოსაზრებით, კორონა-ვირუსი ესპანური გრიპის შტამისა და კიდევ სხვა რომელიღაც ვირუსის ნაზავია, რომელიც კაბალას მიმდევრებმა გაავრცელეს სპეციალურად.

ეს მხოლოდ ვარაუდებია. რეალობა კი ის არის, რომ მკვლელი, უჩინარი მტერი განადგურებას გვიპირებს და ერთადერთი, რითაც მისი დამარცხებაა შესაძლებელი, ურთიერთსიყვარული და კეთილგონიერებაა.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18



### თენგიზ ცერცვაძე:

# იმას, რაც ტრამპმა თქვა, ჩვენ უკვე თვენახევარია ვაკეთებთ

ამ დღეებში აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მსოფლიოს სიხარულით ამცნო, რომ ამერიკამ მიაკვლია ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატს.

„იმას, რაც ტრამპმა თქვა, ჩვენ უკვე თვენახევარია ვაკეთებთ“, — განაცხადა ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ.

დონალდ ტრამპმა კორონა ვირუსის ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად პრეპარატი „პლაქვენილის“ გამოყენების ლეგიტიმურობის ბრძანება გასცა.

თენგიზ ცერცვაძე ამბობს, რომ საქართველო ამ პრეპარატს უკვე თვეზე მეტია ახალ კორონა ვირუსთან საბრძოლველად იყენებს.

პრეპარატი „პლაქვენილი“ აქამდე მალარიის, შიდსისა და ზოგიერთი რევმატიული დაავადების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

ტრამპის განცხადებამ დაადასტურა, რომ ქართველმა მედიკოსებმა თავიდანვე სწორი მეთოდი გამოიყენეს ვირუსის საწინააღმდეგოდ და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ საქართველოში დღევანდლამდე წარმატებით ხორციელდება **Covid-19**-ის წინააღმდეგ ბრძოლა.



ნიკოლოზ ცერცვაძე



თენგიზ ცერცვაძე

არ გვყავს ამ დაავადებით გარდაცვლილები და არ დაფიქსირებულა დაავადების შიდა გადაცემის შემთხვევები.

ამ ძნელბედობის დროს ჩვენი ერთ-ერთი იმედი თენგიზ ცერცვაძე დაიბადა ზუგდიდში. 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის №1 საშუალო სკოლა.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის კლინიკური ორდინატორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის უფროსი ლაბორანტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკო-ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ფარმაკო-თერაპიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ- თანამშრომელი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკო-ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური ფარმაკო-თერაპიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2008 წლიდან ჰეპატოლოგიური კლინიკის „ჰეპა“ ხელმძღვანელი. მრავალი სამეცნიერო შრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია, იმუნოლოგი, პროფესორი.

არის ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების **(IDSA)** წევრი,

ევროპის კლინიკური მიკრობიოლოგიის და ინფექციური დაავადებების საზოგადოება **(ESCMI)** წევრი, ევროპის ღვიძლის დაავადებათა შემსწავლელი ასოციაციის **(EASL)** წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ა.შ.

როგორც ხედავთ, საქართველოშიც ყოფილა შესაძლებელი საუკეთესო განათლების მიღება.

დადიანების სასახლის ფოტოარქივში დაცულია ბატონი თენგიზის მამის ნიკოლოზ (კოლია) ცერცვაძის ფოტოსურათი. ის გახლდათ ზუგდიდის საავადმყოფოს ყელ-ყურის ექიმი. მიიჩნევენ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის მედიცინის განვითარებაში.

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი თენგიზ ცერცვაძე, რომელიც დღეს ჩვენი და ჩვენს თანამემამულეთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, ამ ღირსეული პიროვნების შვილია.

აი, ასეთი საამაყო, მსოფლიო დონის მედიკოსები გვყავს ჩვენ, ქართველებს.

კიდევ ერთხელ მადლობა სახელოვან ქართველ ექიმებს და მედდებს.

**საერთო გაზეთი**

# ენჯეოებმა ჩაიკუკ-ჩაისვირუსეს!

ე.წ. ოპოზიციამ რომ კაი გვარიანად ჩაიკუკა კორონას ფონზე, ამაზე უკვე მოგახსენეთ. ახლა კი იმაზე უნდა გესაუბროთ, თუ როგორ მრავალფეროვნად ჩაიკუკა არასამთავრობო სექტორმა.

ნეტავ სად არის კაპიტანი ეკა გიგაური, რომელსაც თავი მუდმივად პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნებით ჰქონდა გამოტენილი?

ნეტავ სად არის სულხან სალაძე, ახალგაზრდა იურისტების მეთაური, რომელსაც ყველა თემაზე შეუძლია რეკომენდაციების მოცემა?

ნეტავ სად არიან სხვები, რომელთა უსახური სახეები ორიოდე კვირის შემდეგაც კი აღარავის ახსოვს? აღარაფერს ვამბობ გვარებსა და სახელებზე.



მიუხედავად იმისა, რომ მთელმა არასამთავრობო სექტორმა ერთდროულად ჩაიკუკა და მოკეტა, მიუხედავად იმისა, რომ „ყველაფერჩიკებს" ამ ხელისუფლებამ კითხვის ნიშნებიც კი აღარ დაუტოვა, მაინც გამოხტებიან ხოლმე არამკითხე მოამბეები, რომლებიც სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ გოდორივით თავებს. აგერ, ვინმე ვახუშტი მენაბდე, კონსტიტუციონალისტს რომ ეძახიან და რომელიღაც არასამთავრობოში მოღვაწეობს, გულდათუთქული აცხადებს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სახუმარო საქმე არ გეგონოთო, არც ეგრეა, თქვენ რომ ფიქრობთო:

„ვინც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ითხოვს, კანონს თუ ჩახედა ნეტა? რამდენიმე იურისტი ვუტრიალებთ ეს დღეებია – თავი და ბოლო ვერ გავუგეთ. საგანგებო მდგომარეობის დროს, კონსტიტუციის მიხედვით, შესაძლოა შეიზღუდოს ისეთი უფლებები როგორიცაა: თავისუფლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, ინფორმაციის, სახელმწიფოსგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები, საკუთრების უფლება, შეკრების თავისუფლება, შრომითი უფლებები. საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის დროს".

თქვენი არ ვიცი და... მე ასეთი აბდაუბდა არაფერი წამიკითხავს. ვახუშტი ჯერ იძახის, იურისტები ვუტრიალებთ, თავი და ბოლო ვერ გავუგეთო, შემდეგ ჭკუაზე გვარიგებს, ესაო, ძალიან საშიშიაო, შეიძლება ესა და ეს შეგეზღუდოთო, ბოლოს კი ასკვნის, რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოცხადდესო. შე ამნაირო და იმნაირო, თუკი თავი და ბოლო ვერაფერს გაუგე, მაშინ „დაყენდი", სხვები გაუგებენ, რას გვებლატავები? უი, რას ამბობ, საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებები და გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდება? არც გაატრაკო!

აი, გეგონება კაპიტანი გიგაური ჩემს გულში იჯდა... ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, 2020 წლის 20-სა მარტსა, მისი კანტორა („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო) აქვეყნებს საგანგებო განცხადებას ასეთი ტონით:

„დღეს მთელი მსოფლიო და მათ რიცხვში, ჩვენი ქვეყანაც ცდილობს გაუმკლავდეს უზარმაზარ გამოწვევას – ახალ კორონა ვირუსს, რომელმაც თითოეული ადამიანის ცხოვრების წესი და ყოველდღიური ყოფა მოულოდნელად შეცვალა".

წარმოგიდგენიათ? ამას მეუბნებიან თითქმის ორი თვის შემდეგ... მაშინ, როცა ლამის ყველაფერი „მამაო ჩვენოსავით" მაქვს გაზეპირებული და თავისუფლად შემიძლია,



იქით წავუკითხო ლექცია კაპიტან გიგაურს. დარწმუნებული ვარ, თქვენც თავისუფლად შეგიძლიათ აუხსნათ სულხან სალაძეს, რას ნიშნავს კორონავირუსი და რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა.

იცით, როგორი შთაბეჭდილება მრჩება? პრინციპში, შთაბეჭდილება კი არა, ნაღდად ეგრეა: არასამთავრობოებს საქმე გამოელიათ, ხელისუფლებას ხინჯი ვერ უპოვეს, ორი თვით ჩაქვესკნელდნენ, მერე იფიქრეს, ასე არაფერი გამოგვივა, გრანტებს აღარ მოგცემენო და ისევ აფუთფუთდნენ. თუმცა მათი ნაგვიანევი ფუთფუთიც ძალიან სასაცილოა. აგერ, „ტვ პირველის" ეთერში სულხან სალაძე მიუწვევიათ და ალაპარაკებენ. მოლაპარაკე სულიერი ბევრი მინახავს, რომლებიც არაფერს ლაპარაკობენ, მაგრამ ეს უკვე ნამეტანი გახლდათ, ამას უკვე ბოდიალი ჰქვია.

დავუბრუნდეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"-ს მოღვაწეობას... კაპიტანი გიგაური ჭკუაზე გვარიგებს:

„ურთიერთდისტანცირება და სახლში ყოფნა ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა იმისთვის, რომ ამ ვერაგი ვირუსის გავრცელება შევაჩეროთ. ცხადია, ამ ახალ რეალობაზე გადაწყობა მარტივი არ არის და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სირთულეები ახლავს თან. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" გადაწყვიტა თავისი წვლილი შეიტანოს და დაეხმაროს ადამიანებს ამ გამოწვევების დაძლევაში".




და როგორ აპირებს დახმარებას ქალბატონი გიგაური? ჩვენაო, სოციალური ქსელებით დაგარიგებთ ჭკუაზე, ფსიქოლოგებს მოვიწვევთ, ლაივში ჩაგირთავთ და თქვენ კიდე უყურეთო. ესე იგიო, ჩვენ ესეც საქმეში ჩაგვეთვლება და გრანტებს ისევ მოგვცემენო. ეტყობა, ამას დაავიწყდა, რომ ჩვენ ორი თვის განმავლობაში ბევრი „ლაივი" ვნახეთ და თითქმის ყველას მოვუსმინეთ. იმის ნაცვლად, რომ ჩვენს ე.წ. არასამთავრობოებს მერიისთვის მიემართათ და მოხალისეებად გამწესებულიყვნენ, რეალური საქმე ეკეთებინათ, სახელმწიფოს დახმარებოდნენ, აქეთ დაგვიწყეს „რიჟა ბაზარი"!



სხვათა შორის, კაპიტანმა გიგაურმა ბრძანება გასცა, „ტვ პირველს" და „მთავარ არხს" ინკასო უნდა მოეხსნათო, ახლა ხელისუფლება ვალდებულია, ტელევიზიებს შეღავათები დაუწესდეთო. გაზეთებს არაო, მარტო ტელევიზიებსო და გადასახადებს რომ არ იხდიან, ეგ უნდა გადაუვადოთო. უკაცრავად, მაგრამ ორგანიზაცია, რომელიც არ ჩერდება და მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს, თანაც არც თუ ისე ზარალობს (შეიძლება ცოტაოდენ სარეკლამო თანხებმა იკლოს), რატომ უნდა გადაუვადდეს გადასახადები? ამოცანა გვეკითხება: თუ ყველას გადავუვადეთ გადასახადი, ხომ არ დარჩება ხელისუფლება ფინანსების გარეშე და ხომ არ ჩავარდება უნიათო მდგომარეობაში? რა თქმა უნდა, ასე იქნება. ამოცანას აქვს კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვის ნიშანი: რანაირად ხდება, რომ ამ ორ ტელევიზიას ყოველთვის აქვს ბიუჯეტში შესატანი ფულის პრობლემა? რატომ ლაპარაკობს ეს ორი ტელევიზია სინდის-ნამუსზე მაშინ, როცა მისი მესვეურები იქცევიან უსინდის-უნამუსოდ? იმის ნაცვლად, რომ ჯიბეებზე ხელი გაიკრან და სახელმწიფოს დაეხმარონ, იქით არიან დიდ გულზე, გადასახადს არ გადავიხდით და უნდა გვაპატიოთო. უკაცრავად, მაგრამ: მმმმმუუუუუააჰაჰაჰაჰააააა!!!

ალბათ გახსოვთ, ამას წინებზე „გირჩაოზა" იაგო ხვიჩიამ წამოაწვინა, ხალხი რომ კარანტინში გადაგყავთ, მათი უფლებები ირღვევაო. ხვიჩია მიხვდა რა, ამ სირთაოზულმა მოსაზრებამ საზოგადოებაში დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვიაო, ეგრევე მოკეტა. თუმცა მოგვიანებით თითქმის იგივე გაიმეორა ჩვენმა სასიქადულო სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ. გამოგიტყდებით, ამ ქალს ვერასოდეს აღვიქვამდი სახალხო დამცველად. ის გახლავთ ერთი რიგითი „ენჯეოშნიკი", რომელსაც გააჩნია შესაბამისი დაშტამპული აზროვნება და თავი ასევე აქვს გამოტენილი პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნებით.

მოკლედ, იცადა სახალხო დამცველმა, იცადა და ორი თვის თავზე ამანაც გამოაცხო განცხადება, ეპიდემიის დროს ადამიანის უფლებების სტანდარტების შესახებ ინფორმაცი-



ას გაწვდით, თუ კარანტინში ვინმემ ხელი უხერხულ ადგილას მოგკიდათ, ეგრევე შეგვატყობინეთო, თუ პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნები გაგიჩნდებათ, ეგეც შეგვატყობინეთ შორიდან, რათა მონიტორინგი ვაწარმოოთო. არა, არა, ჩვენ მანდ ვერ მოვალთ, გვეშინია, წერილიც არ გამოაგზავნოთ, დაგვირეკეთო.

რაც მთავარია, ქალბატონ ომბუდსმენს კარგად აქვს დამუღამებული ევროპულ-ამერიკული ლექსიკა. ნახეთ, როგორ იწყებს თავის მიმართვას:

„საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებით აკვირდება კორონავირუსის პრევენციისა და გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებს".

გეყურებათ? ხომ ნაცნობი სიტყვებია? უცხოელმა პოლიტიკოს-დიპლომატებმა რომ იციან ხოლმე, ყურადღებით ვაკვირდებითო, შეშფოთებას გამოვთქვამთო და ასე შემდეგ. ესე იგი, როგორც ხედავთ, სახალხო დამცველი ყურადღებით აკვირდება კორონასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ოღონდ შორიდან. ღმერთმა არ ქნას, ხელისუფლებას რამე შეეშალოს, ეგრევე გაუჩნდება თავში პასუხგაუცემელი კითხვის ნიშნები, ხოლო შემდეგ ძახილის ნიშნები და ბოლოს – „ვსიოოო", წერტილი!

ამავე დროს, მოსახლეობის დამცველი გვატყობინებს მეტად სასიხარულო ამბავს, თურმე ამ დრომდე მოქალაქეებს არ მიუმართავთ განცხადებით აპარატისთვის მათი უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე. თუმცა, მეგობრებო, არც ისეა საქმე, როგორც თქვენ გგონიათ, აქვე ომბუდსმენი დასძენს, რომ საზოგადოებაში მაინც ჩნდება კითხვები სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის გარშემო. მერწმუნეთ, არანაირი კითხვები საზოგადოების მხრიდან არ არსებობს, ვინც კარანტინში გადაჰყავთ, ქვეყნის საუკეთესო სასტუმროებში აბინავებენ და უმაღლეს დონეზე კვებავენ. სხვათა შორის, კარანტინში მყოფ ადამიანებს ისე ექცევიან, უკვირთ, ნუთუ ეს საქართველოაო? დიახ, პატივცემულებო, ეს საქართველოა, სადაც სახალხო დამცველსაც კი აღარ აქვს რაიმე ხელმოსაჭიდი და უაზრო განცხადებებს აკეთებს.

ამასობაში კი, სანამ ესენი კეფას მოიფხანდნენ, მთავრობამ პრე-



ზიდენტს მიმართა და ქვეყანაში 21 აპრილამდე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

შემდეგ რა იქნება, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ახლა საქმის დროა და არა უაზრო განცხადებების კეთების. ამიერიდან უფრო უკეთესად გამოჩნდება, კიდევ ვინ ჩაიკუკებს და ვინ გმირობას ჩაიდენს. საერთო ჯამში კი ყველაფერი კარგად იქნება!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ევროკავშირმა მის წევრ ქვეყნებს იმედები გაუცრუა



„...საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტად ვთვლი ჩემს თავს. თუმცა, უხილავი მტერი ყოველთვის ძნელი დასამარცხებელია“, განაცხადა გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. მისივე თქმით, უფრო ადრეც იცოდა და არც ეჭვობდა, რომ კორონავირუსი პანდემიაში გადაიზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას არ ჩქარობდა. მართალია, ორი კვირის წინ შეაჩერა ფრენები ევროპის ქვეყნებთან, გასულ კვირას საერთოდაც დროებით აკრძალეს უცხოელებისთვის ყოველგვარი ვიზების გაცემა, კანადასთან ჩაკეტეს საზღვარი, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩნდა — (საინტერესოა, რომ კანადის და აშშ-ს მოსახლეობამ საზღვრის ჩაკეტვის შესახებ ტრამპის ტვიტერიდან შეიტყვეს).



კორონავირუსი უკვე 50-თივე შტატშია გავრცელებული.

განსაკუთრებული მძიმე ვითარება ნიუ-იორკშია. 15 მილიონიან ქალაქში ძნელია მოსახლეობის თვითიზოლაციაში ყოლა. გასათვალისწინებელია ბევრი უსახლკაროები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ. ლას-ვეგასში კი ყველა კაზინო დაიკეტა, რაც იშვიათობაა. ყოველივე ამას დაემატა ეკონომიკური რყევები. გასულ კვირას აშშ-ის საფონდო ბირჟები მკვეთრად დაეცა, რომლის მსგავსიც 33 წელი არ ყოფილა. ექსპერტების უხეში გამოთვლებით, ამ გარემოებამ ტრილიონი დოლარი ზარალი მოუტანა ქვეყანას. შექმნილმა ვითარებამ მსოფლიოში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ამერიკელი ექსპერტები ღიად აფიქსირებენ, რომ აშშ-ის ეკონომიკა რეცესიაშია. დონალდ ტრამპი ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას მხოლოდ კორონავირუსის დამარცხების შემდეგ პროგნოზიებს. მანამდე კი 1 ტრილიონ 3 მილიარდი დოლარი გამოყო, თითოეული ოჯახი ყოველთვიურად 1000 დოლარს მიიღებს, რათა რეცესიისგან მიყენებული ზარალი შეუმსუბუქდე თ.

გატარებული ღონისძიების მიუხედავად, ეკონომიკური კრიზისი ღრმავდება. გასულ კვირას აშშ-ს გიგანტმა ავტომწარმოებლებმა „ფორდმა“, „ჯენერალ მოტორსმა“ დროებით დახურეს საწარმოები. დარგის ექსპერტების აზრით, უმუშევრობა იზრდება, რაც ეკონომიკაზე აისახება. მიაჩნიათ, რომ საქმე „დიდი დეპრესიისკენ“ მიდის, როგორიც გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო. ამიტომაც შეუტია ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ტრამპს: „...აშშ-ი იმსახურებს ისეთ პრეზიდენტს, რომელიც კრიზისის პერიოდში ხალხს სიმართლეს ეტყვის“. რას მოიმოქმედებს დონალდ ტრამპი ეკონომიკის გასაუმჯობესებლად უახლოეს მომავალში გამოჩნდება. თეთრ სახლში შესვლისთანავე მან მოახერხა აშშ-ის ეკონომიკის გაუმჯობესება.

კორონავირუსის მიუხედავად გასულ კვირას კიდევ 3 შტატში გაიმართა საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენი პრაიმერი. მხოლოდ ოჰაიოს შტატის გუბერნატორი არ დაემორჩილა მოსამართლის გადაწყვეტილებას და გადადო პრაიმერი. ჩატარებული გამოკითხვებით ლიდერობა ჯო ბაიდენმა იგდო ხელთ. მართლდება იმ პოლიტოლოგების ვარაუდი, რომლებიც სოციალისტური შეხედულებების ბერნი სანდერსის „ჩაძირვას“ პროგნოზირებდნენ. სანდერსის პრეზიდენტობისთვის კანდიდატობის შანსები დღითიდღე მცირდება. თუმცა ვნახოთ.



პოლიტიკური დაპირისპირება აშშ-სა და ჩინეთს შორის გასულ კვირას კვლავ გაგრძელდა. ჩინეთის ხელისუფლებამ „ვაშინგტონ პოსტის“, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ და „ვოსტრიდ ჟურნალის“ თანამშრომლებს აკრედიტაცია გაუუქმა და ქვეყნის დატოვება მოსთხოვა, მანამდე კი აშშ-იდან 6 ჩინური გამოცემის თანამშრომელი გააძევეს. მიზეზი, სავარაუდოდ ურთიერთბრალდებაა — ჩინელები კორონავირუსის გავრცელებაში აშშ-ის ჯარისკაცებს ადანაშაულებენ, დონალდ ტრამპი კი ვირუსს ჩინურს უწოდებს. სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეოს განცხადებით ვირუსი ჩინეთიდან, რუსეთიდან და ირანიდან გავრცელდაო. პოლიტოლოგები ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. მათივე შეფასებით ვირუსის თემას პოლიტიკოსების ნაწილი თავიანთ ქვეყანაში ეკონომიკურ კრიზისის გადასაფარად იყენებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ირანში კატასტროფული ვითარებაა შექმნილი. მიმომხილველების ცნობით, ექიმები ყოველ 10 წუთში აფიქსირებენ კორონავირუსით დაავადებულების გარდაცვალებას. ირანელები კვლავ დაჟინებით ითხოვვენ სანქციების მოხსნას, რათა ვირუსთან საბრძოლველად და შესაჩერებლად შეიძინონ სათანადო აპარატურა, მედიკამენტები, მაგრამ უშედეგოდ. სანქციების მოხსნა კი არა, აშშ-ი აამოქმედეს პროგრამა-პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოაჩინონ, თუ როგორ ვერ უმკლავდება ირანი კორონავირუსს.

კორონავირუსის გამოისობით შენგენის ზონა ჩამოიშალა. ასე აფასებენ პოლიტოლოგები ევროკავშირში დღეს არსებულ ვითარებას. ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა საზღვრები ჩაკეტეს, გართულებულია გადაადგილება. ხალხს საკუთარ სამშობლოში ევროკავშირში უჭირთ დაბრუნება. ექსპერტების შეფასებით, ევროკავშირის ქვეყნების მიერ თავიანთი სახელმწიფო საზღვრების აღდგენა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წარმოუდგენელი იყო, რაც ახლა რეალური გახდა.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება იტალიაშია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჯუზეპე კონტე საყვედურობს ევროკავშირს —„...ჩინეთი გაცილებით ბევრით დაგვეხმარა ვიდრე ევროკავშირი“. გულგრილობის და სხვა მიზეზების გამო იტალიაში კორონავირუსით 5-ათასზე მეტი ადამიანია გარდაცვლილი. ამ მაჩვენებლით ჩინეთს გადაასწრეს. ჯუზეპე კონტე იძულებული გახდა დახმარებისთვის რუსეთისთვის მიემართა. რუსეთმა ნატოს წევრ ქვეყანას უარი არ უთხრა და უკვე ჩაიტანეს სამედიცინო აპარატურა, მედიკამენტები, მიავლინეს ექიმები. ევროკავშირით უკმაყოფილოა სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი. მისი განცხადებით, ევროკავშირის დახმარება მხოლოდ ქაღალდზეაო და მანაც დახმარება ჩინეთსა და რუსეთს სთხოვა.

„...მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გერმანიას მსგავსი გამოწვევა არ ჰქონია. სავარაუდოდ, მომავალში უფრო გართულდება ვითარება“ — განაცხადა გასულ კვირას გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.



ფრაუ კანცლერს აუხდა წინასწარმეტყველება — ორი დღის წინ თავად მიმართა თვითიზოლაციას, რადგან ექიმს, რომელიც მას მოემსახურა დაუდგინეს კორონავირუსი. ახლა თავად მერკელი ელოდება ტესტირების პასუხს. ვირუსით უკვე არიან დაავადებულები აშშ-ის რამდენიმე კონგრესმენი და სენატორი.

ორიგინალური გამოთქმებით კვლავ აოცებს სამყაროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი. გასულ კვირას რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა. თავდაპირველად თქვა უნდა გადავიტანოთ ვთირუსი, რათა იმუნიტეტი გამოვიმუშავოთო. ამასთან მოსახლეობას მოუწოდა არ მისულიყვნენ საავადმყოფოებში — „ვინც გადასარჩენია გადარჩება“ — განაცხადა. კვირის მიწურულს კი დააგვირგვინა: „დისტანციურად დაუკავშირდით თქვენს ასაკოვან მშობლებს, ახლობლებს. შესაძლოა ველარ ნახოთ, რადგან მათ კორონავირუსი იმსხვერპლებს“. ვერაფერს იტყვი ადამიანი. პოლიტოლოგების ვარაუდით, კორონავირუსის დამარცხების შემდეგ სამყარო რადიკალურად შეიცვლება, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით ასევე ეკონომიკურადაც.

ხელჩართული ბრძოლა გაიმართა თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე — მიგრანტებსა და ბერძენ მესაზღვრეებს შორის. მიგრანტებს არ აინტერესებთ კორონავირუსი და უკვე შტურმით აპირებენ ევროპაში შესვლას. მესაზღვრეეებმა ამჯერად შეძლეს შეტევის მოგერიება. რა მოხდება მომავალში ძნელი სათქმელია.

სპორტის მოყვარულებისთვის გულსადასაწყვეტი ცნობა გავრცელდა გასულ კვირას. წლეულს გასამართი ევროპის ჩემპიონატი გაისად ჩატარდება. საინტერესოა, რომ პირელად ევროპის თასის (ასე უწოდებდნენ თავდაპირველად) გათამაშება ზუტად 60 წლის წინ გაიმართა, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა. ჩემპიონებს შორის 3 ქართველი იყო: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი. მართალია, „ოლიმპიური ცეცხლი“ უკვე ჩაიტანეს მასპინძელ ქვეყანაში იაპონიაში, მაგრამ ოლიმპიური თამაშების ჩატარება სულ უფრო სათუო ხდება. ორი დღის წინ კანადის და ავსტრალიის წარმომადგენლებმა ოფიციალურად უარი თქვეს წლეულს თამაშებში მონაწილეობაზე და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თხოვნით მიმართეს გადაავადონ ღონისძიება. მათ აზრს იზიარებს იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინო აბე. რა გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, მალე გავიგებთ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ...“

ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეედრება ქრისტიანობას ქველმოქმედების მასშტაბით და მრავალფეროვნებით. არც ერთ ორგანიზაციას არ გაუკეთებია იმდენი ადამიანთა ტანჯვის შესამსუბუქებლად, რამდენიც გააკეთა ქრისტიანობამ. შეიძლება ითქვას რომ ქველმოქმედება თანამედროვე სახით შექმნა ქრისტიანობამ.

ქრისტიანული ქველმოქმედების სული არ გაჩენილა ცარიელ ადგილზე. ის შთაგონებული იყო ქრისტეს ქადაგებით: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი.ჩემი მოწაფეები რომ ხართ იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის» იოანე „ჩვენ, ძლიერთ, გვმართებს ვზიდოთ უსუსურთა უძლურება და არ ვეძებოთ საკუთარი სიამოვნება“ //მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ.

ანტიკურ ხანაში თითქმის მთელი დახმარება სახელმწიფოსგან მოდიოდა და უფრო პოლიტიკური მიზეზებით იყო ნაკარნახევი ვიდრე კაცთმოყვარეობით. ბავშვებს ყიდნენ მონებად, იმართებოდა ბაზრობები სადაც შეიძლებოდა ადამიანების ყიდვა, ღარიბები მზად იყვნენ გლადიატორებად ჩასაწერად და შიმშილი ხშირი იყო. ძალიან ბევრი უბედური რჩებოდა დახმარების გარეშე. ეკლესია დასაბამიდან ეხმარებოდა გაჭირვებულებს. მორწმუნეები წირვის დროს საკურთხეველზე დებდნენ თავის შენაწირს. მარხვის გარკვეულ დღეებში, მოციქულთა წერილების ნაწყვეტის წაკითხვის წინ მორწმუნეები იღებდნენ ღარიბთა სასარგებლოდ შენაწირს.ამას გარდა სწირავდნენ საეკლესიო ხაზინაში. უფრო მდიდრებისგან ელოდნენ მეტის შეწირვას. ადრექრისტიანულ ხანაში მარხვის დროს დაზოგილ ფულს აძლევდნენ ეკლესიას. წმინდა იუსტინე წამებული წერს რომ გაქრისტიანებამდე სიმდიდრის და ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარულები გაქრისტიანების შემდეგ სიხარულით ამბობდნენ ამაზე უარს ღარიბთა სასარგებლოდ. ადრეულ ქრისტეანთა კეთილი საქმეების ჩამოთვლა ძალიან ძნელია. ქველმოქმედები იყვნენ მდიდრებიც და ღარიბებიც, ეკლესიის მამებიც, რომლებმაც დასავლურ ცივილიზაციას დაუტოვეს ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ნაშრომთა უზარმაზარი კორპუსი პოულობდნენ დროს თანამოძმეთათვის სამსახურის გასაწევად. წმ.ავგუსტინემ დააარსა თავშესაფარი მლოცველებითვის. მან გამოისყიდა მონობიდან ადამიანები. ის ღარიბებს ურიგებდა ტანისამოსს...წმ.იოანე ოქროპირმა რამოდენიმე საავადმყოფო დააარსა კონსტანტინეპოლში.წმ.იოანე კიპრიანე და წმ. ეფრემ ასური აწყობდნენ დახმარებას შიმშილით და ეპიდემიებით გატანჯულებისთვის. ადრეულმა ეკლესიამ შექმნა ქვრივ-ობლებზე მზრუნველი ინსტიტუტები.ეკლესია ზრუნავდა ავადმყოფებზე, განსაკუთრებით ეპიდემიების დროს. შავი ჭირის დროს კართაგენში და ალექსანდრიაში ქრისტიანები ვაჟკაცურად ანუგეშებდნენ მომაკვდავებს და მარხავდნენ მიცვალებულებს მაშინ როდესაც წარმართები თავის საუკეთესო მეგობრებსაც კი ტოვებდნენ უპატრონოდ.

აღნიშნულ პერიოდში ქრისტიანები დრო და დრო ისევ განიცდიდნენ დევნას, ეს დიდი ეპისკოპოსი მოუწოდებდა ქრისტეანებს დახმარება გაეწიათ იმათთვისაც ვინც მათ პერიოდულად დევნიდა, მან ახსნა: „თუ კი ჩვენ დავეხმარებთ მხოლოდ მათ ვინც სიკეთეს გვიკეთებს რითი ვიქნებით უკეთესები მეზვრეებზე და წარმართებზე? თუ კი მართლაც ვართ შვილები უფლისა რომლის მზეც ერთნაირად უნათებს ბოროტებსაც და კეთილებსაც და წვიმა მოდის მართლებისთვისაც და მცდარებისთვისაც მაშინ ჩვენ ეს უნდა დავამტკიცოთ ჩვენი საქმეებით, დავლოცოთ ისინი ვისაც ვძულვართ და სიკეთე ვუკეთოთ იმათ ვინც გვდევნის».მესამე საუკუნეში ალექსანდრიაც იქცა შავი ჭირი მსხვერპლად. ალექსანდრიის ეპისკოპოსი დიონისიოსი იხსენებდა რომ წარმართები ავადმყოფობის პირველი ნიშნებისთანავე მიატოვებდნენ ხოლმე ყველას, გაურბოდნენ უახლოეს მეგობრებსაც ქუჩაში ყრიდნენ ავადმყოფებს და ნახევრად მიცვალებულებს. ისინი გვამებს დაუმარხავად სტოვებდნენ და ძალიან უპატივცემულოდ ექცეოდნენ მათ. ამავე დროს ეპისკოპოსი წერდა რომ ბევრი ქრისტიანი იყო ერთად. ისინი არ ზოგავდნენ თავს, ნახულობდნენ ავადმყოფებს უვლიდნენ მათ, და არ ფიქრობდნენ იმაზე რომ მათ ემუქრება საფრთხე... ისინი ხდებოდნენ ავად, მაგრამ ნებაყოფლობით იღებდნენ პასუხისმგებლობას ტანჯულებზე. მე-16 საუკუნეში მარტინ ლუთერიც ამბობდა რომ მღვდელს არა აქვს შავი ჭირისთვის თავის არიდების მორალური უფლება, ის უნდა იყოს თავის მრევლთან ერთად და სიკვდილამდე უნდა ემსახურებოდეს მას.



ედესაში მცხოვრებმა განდეგილმა წმ. ეფრემ ასურმა გაითქვა სახელი თავისი გმირობით შიმშილის და შავი ჭირის დროს. მან დაიწყო შენაწირთა შეგროვება და განაწილება, ის აწყობდა საავადმყოფოებს, უვლიდა ავადმყოფებს და მარხავდა მიცვალებულებს. ქრისტიანულმა ეკლესიამ მეოთხე საუკუნეში დაიწყო საავადმყოფოების მასობრივად მშენებლობა. საავდმყოფოები გაჩნდა თითქმის ყველა დიდ ქალაქში. თავიდან ისინი წარმოადგენდნენ თავშესაფარს მოგზაურებისთვის და ამავე დროს ისინი ზრუნავდნენ ავადმყოფებზე, ქვრივ-ობლებზე, საზოგადოდ ღარიბებზე. ქრისტეანული დამოკიდებულება ეფუძნებოდა თანაგრძნობას და არა ნაცვალგებას. პირველი დიდი საზოგადოებრივი საავადმყოფო რომში მონანიების ნიშნად დააარსა ქრისტიანმა ქალმა ფაბიოლამ. ის დადიოდა ქუჩა-ქუჩა და დაეძებდა ავადმყოფებს და ბეჩავებს ვისაც სჭირდებოდათ დახმარება. IV საუკუნეში ბასილი დიდმა, რომელსაც თანამედროვეები უძახოდნენ გულმოწყალების მოციქულს, საავადმყოფო დააარსა კესარიაში. ცნობილია რომ ის ეხვეოდა დახმარების საძებრად მისულ კეთროვანებს და გულმოწყალებით ეპყრობოდა მათ, მგვიანებით ასევე იქცეოდა წმ. ფრანჩესკო ასიზელი. არაა გასაკვირი რომ მონასტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევის საქმეში. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მონასტრებმა თანდათანობით დაიწყეს ადამიანებისთვის ორგანიზებული სამედიცინო დახმარების გაწევა. რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ევროპაში ასეთი რამე იყო მარტო მონასტრებში. მდებარეობისა და ორგანიზებულობის წყალობით მონასტრები იქცნენ წესრიგის, ღვთისმოსაობის და ორგანიზებულობის ნამდვილ ოაზისებად რაც დიდად უწყობდა ხელს მურნალობას, საექიმო მოღვაწეობას. მკურნალობის და მოვლის უზრუნველსაყოფად მონასტრები გადაიქცნენ სამედიცინო განათლების ცენტრებად.



ეკლესიის საქველმოქმედო მოღვაწეობის მასშტაბის შეფასება ადვილად შეიძლება თუ გავიხსენებთ, რა ხდებოდა როდესაც ეს მოღვაწეობა წყდებოდა. XVI საუკუნეში ინგლისის მეფე ჰენრი მერვემ განაცხდა რომ მონასტრები გადაიქცა უზნეობის და გარყვნილების ბუდეებად, მოსპო მონასტრები, წაართვა მათ ქონება და დაურიგა ეს ქონება გავლენიან არისტოკრატებს. სინამდვილეში მეფეს ამოძრავებდა ბანალური შური და სიხარბე. მისი სიხარბის და მხეცობის სოციალური შედეგები მძიმე იყო. 1536 წელს აჯანყდა მონასტრების ქველმოქმედების შეწყვეტით შეწუხებული ხალხი. ორი წლის შემდეგ მეფეს უთხრეს რომ მონასტრების დარბევამ დიდი ზიანი მიაყენა მის სამეფოს, ააოხრა ის და კიდევ უფრო უბედურ დღეში ჩააგდო მისი ქვეშევრდომები რომელთაც დააკლდათ ქრისტიანული ზრუნვა და სოლიდარობა. მონასტრები იყო ადგილობრივი რელიგიური ცენტრები. მონასტრები ხსნიდნენ და ინახავდნენ სკოლებს, ასწავლიდნენ ადგილობრივ გლეხებს მოწინავე აგრონომიულ ხერხებს, ხელობებს, თევზების მოშენებას, ტყის მეურნეობას. მონასტრები ზრუნავდნენ მოგზაურებზე, ღარიბებზე, ობლებზე, ავამყოფებზე, თავშესაფარს აძლევდნენ ყველა სულიერად თუ ხორციელად შეჭირვებულს. მონასტრები საუკუნეების მანძილზე იყვნენ რელიგიური, საქველმოქმედო და კულტურული მოღვაწეობის ცენტრები. მონასტრები ყოველ დღე ურიგებდნენ მოწყალებას გაჭირვებულებს ყოველი მონასტერი იქცა საქველმოქმედო ცენტრად. ბერები ახსენებდნენ არისტოკრატებს რომ მათ უნდა ეშინოდეთ ღმერთისა. ისინი ზრუნავდნენ ღარიბებზე და ავადმყოფებზე, აძლევდნენ თავშესაფარს მოგზაურებს, გამოისყიდნენ ხოლმე ტყვეებს და ეხმარებოდნენ ყველა ტანჯულს.

ქრისტიანობამ რევოლუცია მოახდინა ქველმოქმედების სფეროში რამაც ძირეულად შეცვალა ამ საქმიანობის როგორც სულიერი საფუძვლები ისე პრაქტიკული მხარე, თუმცა სტანდარტულ სახელმძღვანელოებში ეს ისტორია მიჩქმალულია. ამ რევოლუციის შედეგები მეტყველია. ქრისტეანობამ შექმნა არნახული მასშტაბის საქველმოქმედო სისტემა რომლის შიგნითაც პირველად იქნა ინსტიტუციონალიზებული ზრუნვა ქვრივ-ობლებზე, ავადმყოფებზე, ღარიბებზე... წმინდა წერილი ამბობს, რომ დევნათა და შევიწროებათა ჟამს, მაშინ, როცა გავიგებთ ომებსა და ომების ამბებს, ასევე მომაკვდინებელი ეპიდემიის შესახებ, ჩვენ უნდა ვანუგეშოთ ერთმანეთი იმით, რომ ჩვენი უფალი იესო ქრისტე კვლავ დაბრუნდება გამარჯვებული თავისი დიდებით.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# როდის დაიწერება ქართული „დეკამერონი“

ერთ დღეს ჩემმა ძმამ სახლის სხვენიდან გაცრეცილყდიანი წიგნი ჩამოიტანა. წიგნში ტექსტთან ერთად ეროტიკული ნახატებიც იყო. მამაჩემს დაემალა ჩვენთვის, რომ არ წაგვეკითხა, არადა, მისი მცდელობა ფუჭი იყო, „დეკამერონი“, სანამ მამაჩემი დამალავდა, უკვე წაკითხული მქონდა.

წიგნში ჯოვანი ბოკაჩო მე-14 ს-ის იტალიის ცხოვრებას აღწერს ჟამიანობის დროს და სწორედ ამიტომაც გამახსენდა სხვენზე დამალული „დეკამერონი“, რომელიც ასე იწყება:

„რამდენჯერაც მომაგონდება, მშვენიერნო, თუ რაზომ გულშემატკივარნი ხართ ბუნებით, ვრწმუნდები, რომ წინამდებარე წიგნის დასაწყისი არ მოგეწონებათ და ცუდ გუნებაზე დაგაყენებთ, რადგან იგი წარსული ჭირიანობის სამწუხარო მოგონებით იწყება.

ამგვარად, მოგახსენებთ, რომ ღვთის ძის ნაყოფიერ ხორცშესხმიდან განვლო ათას სამას ორმოცდარვა წელმა, როდესაც



სახელგანთქმულ ქალაქ ფლორენციას, იტალიის ქალაქთა შორის ყველაზე ულამაზესს, თავს დაატყდა მომსვრელი ჭირი, ზეციურ მნათობთა გავლენით თუ ჩვენთა ცოდვათათვის ღვთის სამართლიანი რისხვის მიერ ჩვენდა დასასჯელად მოვლენილი. ეს ჭირი ჯერ აღმოსავლეთ ქვეყნებში გაჩნდა და იქ აუარებელი ხალხი იმსხვერპლა, მერე შეუჩერებლივ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, ბოლოს დასავლეთამდეც მოაღწია და აქ საშინლად მოედო ყველგან. ამის წინააღმდეგ ვერ გასჭრა ვერავითარმა სიბრძნემ და ნახმარმა საშუალებამ; ხსენებული წლის გაზაფხულის დამდეგიდანვე სენმა მუსრი გაავლო ხალხს და თან უცნაურის ნიშნებითა ჩნდებოდა. აქ ისე არ ჩნდებოდა, როგორც აღმოსავლეთში, ჭირი უფრო იმისაგან გაძლიერდა, რომ კარგადმყოფთაც გადაედებოდა ხოლმე, როცა ავადმყოფებს გაეკარებოდნენ, სწორედ იმნაირადვე, როგორც ანთებული ცეცხლი მოეკიდება ხოლმე ახლომდებარე ხმელ ან ზეთით გაჟღენთილ ნივთებს. მაგრამ სენი მარტო ამით კი არა ვრცელდებოდა: კარგადმყოფთ არა მარტო ავადმყოფებთან ლაპარაკითა და მათთან დარჩენით გადაედებოდათ ხოლმე სენი და იხოცებოდნენ მათთანვე ერთად, არამედ თუ, მაგალითად, კარგადმყოფი მიეკარებოდა იმ ტანისამოსს ან ნივთს, რომელსაც ავადმყოფი იხმარდა ან შეეხებოდა, საკმარისი იყო, სენი გადასდებოდა.

ასეთისა და ბევრი სხვა ამის მსგავსი თუ ამაზე უარესი ხმების წყალობით საშინლად დაშინდნენ ცოცხლად გადარჩენილნი, და თითქმის ყველანი ერთსა და იმასვე ცდილობდნენ: გულქვად იქცეოდნენ, ავადმყოფებს და მათ ნივთებს თავს არიდებდნენ, გაურბოდნენ; ფიქრობდნენ, თუ ასე მოვიქეცით, სიცოცხლეს შევინარჩუნებთო. იყვნენ ისეთებიცა, ვინც ფიქრობდნენ, რომ თუ ზომიერის ცხოვრებით ვიცხოვრებთ და ყოველსავე ნამეტნაობას მოვერიდებით, სენისაგან თავს დავიფარავთო: ესენი ჯგუფებს ადგენდნენ და სხვებისაგან მორიდებით ცხოვრობდნენ; ისეთ სახლებში მოიყრიდნენ და ჩაიკეტავდნენ თავს, სადაც არავინ იყო ავადმყოფი და გულდამშვიდებით შეეძლოთ ცხოვრება; აქა ჭამდნენ კარგ საჭმელს, სვამდნენ თავანკარა ღვინოებს, მაგრამ ზომიერად, ყოველსავე მოჭარბებულს თავს არიდებდნენ, გარეშეს არავის ელაპარაკებოდნენ, არც არავის ამბავს კითხულობდნენ, თუ ვინ ხდებოდა ავად ან ვინა კვდებოდა, უკრავდნენ საკრავებს და რამდენადაც შეიძლებოდა, სიამოვნებით დროს ატარებდნენ: უნდა ვსვათ, ყველგან ვიაროთ სიმღერითა და ხუმრობით, რაც შეგვიძლია, არაფერი სიამოვნება მოვიკლოთ და რაც ჩვენს გარშემო ხდება, ყველაფერი სასაცილოდ ავიგდოთ, ყველაფერი გავკილოთ, სწორედ ეს იქნება უებარი წამალი ამ საშინელი სენისაო.

კარგადმყოფობის დროს ავადმყოფებს გაურბოდნენ, ამით მაგალითს აძლევდნენ სხვა კარგადმყოფებს, და ასე, ყველასაგან თავმინებებულნი, იხოცებოდნენ. იმას ნუღარ ბრძანებთ, რომ ერთი მოქალაქე მეორე მოქალაქეს გაურბოდა, მეზობელს მეზობლის დარდი აღარა ჰქონდა, ნათესავები თავიანთების სანახავად და მოსაკითხავად იშვიათად ან სულაც არ დადიოდნენ, ანდა შორიდან თუ მოიკითხავდნენ ხოლმე. ამ უბედურებამ ისეთი თავზარი დასცა ქალებსა და კაცებს, გული ისე გაუქვავდა ყველას, რომ ძმას ძმისა არ ედარდებოდა, ბიძას – ძმისწულისა, დას – ძმისა და ზოგჯერ თვით ცოლს – ქმრისა. და (რაც უფრო საშინელი და თითქმის დაუჯერებელია) მამებსა და დედებს არ უნდოდათ თავიანთი შვილები ენახათ და მათთვის ყური ეგდოთ, თითქოს მაგათთვის გარეშენი ყოფილიყვნენ. ამ მიზეზით, ვინც ავადა ხდებოდა, როგორც ქალი, ისე კაცი, რომელთა რიცხვი აუარებელი იყო, სრულებით უპატრონოდა რჩებოდა; ამათ გულშემატკივარი მეგობრებიღა თუ მიხედავდნენ (ასეთები კი თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ)...

სიკვდილს გადარჩენილ მოქალაქეთა შორის ისეთი ჩვეულებები გაჩნდა, რაც სრულებით არა ჰგავდა მანამდე არსებულ ჩვეულებას. წინათ ჩვეულებად ჰქონდათ (და ეს ჩვეულება დღემდე დარჩენილია), რომ ნათესავი და მეზობელი ქალები მიცვალებულის სახლში იკრიბებოდნენ და აქ უფრო მახლობელ ნათესავ ქალებთან ერთად ტიროდნენ; გარდა ამისა, მიცვალებულის სახლის წინ ბლომად იკრიბებოდნენ თავიანთი ახლობლებითურთ მეზობლები და მოქალაქენი და, მიცვალებულის ღირსებისდაკვალად, სამღვდელოებაცა. ვინ მოთვლის, რამდენი უზარმაზარი სრა-



სასახლეები, რამდენი საუცხოო სახლი, რამდენი მშვენიერი სადგომები, წინათ სავსენი მსახურებითა, ბატონებითა და ქალბატონებითა, დღეს ცარიელი იდგა, რადგან შიგ ყველანი ამოწყდნენ უკანასკნელ მსახურამდე. ვინ იცის, რამდენი სახელოვანი გვარი, რამდენი უშველებელი მემკვიდრეობა და სიმდიდრე დარჩა უმემკვიდრეოდ?

მე თვითონ მიმძიმს მოვიგონო ხოლმე ყოველი წვლილი ამ საშინელ უბედურებათა. ამიტომ გამოვაკლებ ყველსავე იმას, რაც, მე მგონია, არას დააკლებს ჩემს მოთხრობას, და მოგახსენებთ, რომ იმ დროს, როცა ქალაქი ამ დღეში იყო, მცხოვრებთაგან სულ დაცარიელდა, ერთხელ (როგორც ეს შემდეგ ერთი სარწმუნო ადამიანისაგან გავიგონე,) ერთ სამშაბათ დილას, წმინდა ახალი მარიამის **(Senta Maria Novella)** ყველასაგან თაყვანცემულ ეკლესიაში, იმ დროს, როცა შიგ ჯერ არავინ იყო გარეშე, შვიდმა ახალგაზრდა ქალმა, მძიმე შავებჩაცმულებმა, როგორც ამას მაშინდელი დრო მოითხოვდა, წირვა მოისმინეს.

პირველ მათგანს, ამ შვიდში ყველაზე უფროსს, დავარქვათ პამპინეა, მეორეს – ფიამეტა, ფილომენა – მესამეს, ხოლო მეოთხეს – ემილია, მერე ლაურეტა დავარქვათ მეხუთეს, მეექვსეს – ნეიფილე, სულ უკანასკნელს, არცთუ უმიზეზოდ, ვუწოდოთ ელიზა. ესენი წინდაწინ არცკი მოლაპარაკებულან, ისე, სრულიად შემთხვევით, ეკლესიის ერთ კუთხეში ერთად მიდგნენ და წრის მსგავსად ჩამოსხდნენ; ჯერ ამოიხვნეშეს, „მამაო ჩვენოს“ თქმას თავი დაანებეს და ჩამოაგდეს ლაპარაკი ახლანდელი უბედურების, სხვადასხვა ამბებისა და შემთხვევათა შესახებ.

...რაღას ვუცდით? რაღასა ვფიქრობთ? სხვა მოქალაქეებზე ნაკლებად და გულგრილად რათა ვზრუნავთ თავის გადარჩენისათვის? ნუთუ სხვებს უფრო ძვირფასად უღირთ თავიანთი სიცოცხლე, ვიდრე ჩვენ? ან იქნებ ვფიქრობდეთ, ვითომც სიცოცხლე ჩვენ უფრო მაგარი ჯაჭვით გვქონდეს მიმაგრებული სხეულზე, ვიდრე სხვებსა, და ამიტომ დარდი არ უნდა გვქონდეს იმისა, რასაც შეუძლია ამ სიცოცხლეს რამეავნოს? ვცდებით, თავს ვიტყუებთ; მერე რა ბრიყვები უნდა ვიყოთ, თუ ასე გვგონია! მოვიგონოთ, თუ რამდენი და მერე როგორი ჭაბუკები და ნორჩი ქალები შეეწირნენ ამ ულმობელ სენსა, და მაშინ თვალნათლივ დავინახავთ ჩვენი შეცდომის დამამტკიცებელ საბუთსა. ამიტომ ჩვენი ჯიუტობითა და უდარდელობით რომ არ ჩავცვივდეთ იმ უბედურებაში, რასაც ამა თუ იმ გზით თავს დავაღწევდით, თუკი მოვინდომებდით (არ ვიცი, გაიზიარებთ თუ არა თქვენ ჩემს მოსაზრებას), მე საუკეთესოდ მიმაჩნია მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენამდე იქცეოდნენ სხვები და ახლაც იქცევიან“...



ბოკაჩო, ცხადია, მხოლოდ იმ ეროტიკული სიუჟეტების ოსტატურად მოთხრობს გამო არ დარჩენილა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და ამის გამო არ მოუღწევია მის მონათხრობს ჩვენამდე. მწერალი ირონიით შეფერილი ეროტიულობის შემცველი სიუჟეტებით აღწერს მე-13 ს-ის ფლორენციელების ცხოვრებას, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრულიად არ განსხვავდება თანამედროვე ადამიანის განცდებისა და დამოკიდებულებებისგან იმ გარემოებების და პრობლემების მიმართ, რომელიც ნებისმიერ საუკუნეში და ნებისმიერი ცივილიზაციის დროს შეიძლება გაჩნდეს მოულოდნელად ადამიანის წინაშე.

ფლორენციელმა „ბრძენმა“ ქალებმა, მომხიბლავი პამპინეას მეთაურობით „მშვენიერი“ გამოსავალი იპოვეს — იზოლაციის პირობებში თავაშვებულ გართობასა და გარყვნილებაში გადაეშვნენ, მაშინ, როცა ქალაქში არც არავის აინტერესებდა და არ უნდოდათ გაეგოთ, თვით ნათესავთაგანაც კი — ვინ გადარჩა და ვინ გარდაიცვალა, მღვდლებიც კი აღარ უხდიდნენ პანაშვიდებს მიცვალებულებსო...

სოციალურ ქსელში უკვე გაჩნდა ხუმრობები — აბა, რას შვრებით იზოლაციის პირობებში, ხომ ერთობით კარგადო?!

თქვენ იხუმრეთ და, ვინ იცის, რამდენი პამპინეა და ფიამეტა იწყობს „ბურნი“ ღამეებს თბილისის უბნებში.

დარწმუნებული ვარ, კორონა ვირუსსაც გავუმკლავდებით და მერე ნახეთ, გადარჩენილები, რამდენ ქართულ „დეკამერონს“ მოვისმენთ და წავიკითხავთ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ადოლფ ჰიტლერის ბიოგრაფიის საიდუმლო

## რის დამალვას ცდილობდა ფიურერი



ვენიდან ჩრდილო-დასავლეთით ასი კილომეტრის დაშორებით, ავსტრიის ჩრდილოეთში მდებარეობს პატარა სოფელი დელერსჰაიმი. ეს პაწაწინა ავსტრიული სოფელი ოთხმოცი წლის წინათ მიწასთან გაასწორეს იმ გერმანელი დიქტატორის ბრძანებით, რომელსაც სასაცილო მოკლე ულვაში ჰქონდა. დიქტატორი ცდილობდა, სრულიად გაენადგურებინა ყველაფერი, რასაც შეეძლო ნათელი მოეფინა მისი ოჯახის ისტორიისთვის, ყველაფერი, რაც მის საეჭვო არიულ წარმოშობაზე მიუთითებდა.




სწორედ აქ, დელერსჰაიმში, 1837 წელს მარია შიკლგრუბერმა უკანონო შვილი გააჩინა. ეს ბავშვი ალოის შიკლგრუბერი იყო — ადოლფ ჰიტლერის მამა. მარია მაშინ 42 წლის იყო, არ იყო გათხოვილი და ვინ იყო მისი შვილის ნამდვილი მამა, დღემდე უცნობია. ადგილობრივი სამრევლო ეკლესიის მიერ გაცემულ ნათლობის მოწმობაში მამის ვინაობა აღნიშნული არ ყოფილა. როცა ალოისი ხუთი წლის შესრულდა, მარია შიკლგრუბერი იოჰან გეორგ ჰიდლერს გაჰყვა ცოლად. სწორედ მის გვარს ატარებდა ადოლფ ჰიტლერის მამა და სწორედ ამ გვარის გენეალოგიურ ხეს მიუთითებდა ჰიტლერი მომავალში საკუთარი არიული წარმომავლობის დამადასტურებლად.

მას შემდეგ, რაც ადოლფ ჰიტლერი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე გახდა, ისტორიკოსები ცდილობდნენ, გამოეაშკარავებინათ მისი ჭეშმარიტი წარმომავლობა, იმის გათვალისწინებით, რომ ადოლფი ამტკიცებდა, რომ ის არიული წარმომავლობის იყო. ეს საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ვარაუდი და ვერსია.

ალოისის ბიოლოგიური მამის რამდენიმე შესაძლო კანდიდატი არსებობდა, ერთ-ერთ კანდიდატად ისტორიკოსები ებრაელ ლეოპოლდ ფრანკენბერგერსაც ასახელებდნენ. სწორედ ამ ადამიანის ოჯახში მუშაობდა მარია შიკლგრუბერი მზარეულად. მაგრამ მკვლევარები ამ ვერსიას უარყოფდნენ და ამას იმით ხსნიდნენ, რომ ეს ყველაფერი დროში არ ემთხვეოდა. იმ დროისათვის, როცა მარია ალოისზე იყო ფეხმძიმედ, გრაცში ებრაელები არ იყვნენ.

თავის დროზე ამგვარ ვარაუდებს ჰიტლერი აპოლექტიკურ მრისხანებამდე მიჰყავდა. „ადამიანებმა არ უნდა იცოდნენ, ვინ ვარ“, — ამბობდა ის. „მათ არ უნდა იცოდნენ, საიდან ვარ“. 1931 წელს ჰიტლერმა დაავალა სს-ს, გამოეძიებინა მის შესახებ გავრცელებული ჭორები. მისი ებრაული წარმომავლობის შესახებ ვერაფერი აღმოაჩინეს. შემდეგ კი გენეალოგს უბრძანა, შეექმნა დიდი ილუსტრირებული გენეალოგიური ხე, მის წარმომავლობას რომ დაადასტურებდა და რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა წიგნში “Die Ahnentafel des Fuehrers” („ბელადის წარმომავლობა“), რომელიც 1937 წელს დაისტამბა. ამით ჰიტლერმა ყველას აჩვენა, რომ მას შეუბღალავი არიული წარმომავლობა ჰქონდა.

მკვლევარები უფრო სარწმუნოდ მიიჩნევენ ისტორიკოს ვერნერ მაზერის მიერ წამოყენებულ ვერსიას. მისი აზრით, ალოის შიკლგრუბერის ნამდვილი მამა იოჰან ნეპომუკ ჰიდლერი იყო — იმ ადამიანის ძმა, რომელმაც ცოლად შეირთო მარია შიკლგრუბერი ბავშვის დაბადებიდან ხუთი წლის შემდეგ. სწორედ მან აღზარდა ალოისი და თავიზი დანაზოგის დიდი ნაწილი უანდერძა მას.

მაზერის თქმით, ნეპომუკი ცოლიანი ფერმერი იყო, რომელსაც მარიასთან რომანი ჰქონდა. იმისათვის, რომ რომანი დაემალა და საკუთარ ვაჟზე ეზრუნა, ნეპომუკმა სთხოვა ძმას, ცოლად შეერთო მარია. ასე მას შეეძლებოდა დაუფარავად ეზრუნა მარიასა და ალოისზე.

მაგრამ ვარაუდები ვარაუდებად რჩება, ფაქტები კი სხვაზე მეტყველებს: ფიურერს რატომღაც ძალიან უნდოდა, საკუთარი ოჯახისა და წარმომავლობის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაემალა. გაუგებარია ის მიზეზები, რომელთა გამოც გვარი ჰიდლერი ჰიტლერად გადაიქცა. ზოგიერთმა ისტორიკოსმა წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს მხოლოდ ფონეტიკური უზუსტობა ან ნოტარიუსის შეცდომაა, რომელიც ზეპირად იწერდა ინფორმაციას.

იმ მიზეზით, რომ საკუთარი ოჯახისა და წარმომავლობის შესახებ ყველა ინფორმაცია დაემალა, გერმანელმა დიქტატორმა მიწისაგან პირისა აღგავა თავისი მამის სამშობლო.

სწორედ ამ მცდელობასთან აკავშირებენ ისტორიკოსები სოფელ დელერსჰაიმის განადგურებას — თითქოსდა ძალიან ბევრი სკეპტიკოსი მიდიოდა იქ ადგილობრივი მაცხოვრებლების გამოკითხვის მიზნით. ადგილობრივები სხვადასხვა მხარეს გადაასახლეს, სოფელი კი მიწასთან გაასწორეს. ხალხის ბელადმა ბრძანა, სოფლის ადგილას სამხედრო პოლიგონი მოეწყოთ.

სოფლის ორი ათასზე მეტი მცხოვრები ძალადობრივად გადაასახლეს, მათი სახლები კი სამხედრო სწავლების დროს ააფეთქეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო სასწავლო პოლიგონი საბჭოთა არმიამ ჩაიგდო ხელში და დღემდე სამხედრო აკრძალულ ზონად რჩება. დღეისათვის იქაურობას ავსტრიის სამხედრო ძალები მართავენ. 1981 წლიდან სოფლის მთავარი მოედანი, წმინდა პეტრესა და პავლეს რომის სამრევლო ეკლესიის ნანგრევები, ასევე, იქაური სასაფლაო ხელმისაწვდომია დამთვალიერებლებისთვის.

ადოლფ ჰიტლერი ძალიან წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო — ჭკვიანი, განათლებული. რომანტიკული ნატურა, დახვეწილი მანერებით — მხოლოდ მისი ნახატების ნახვა რად ღირს. დაუჯერებელია, როგორ შეიძლებოდა, ასეთ პიროვნებას ამდენი ბოროტება ჩაედინა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი მაინც ასე მოხდა.

ძალიან სწორად თქვა ადოლფ ჰიტლერის შესახებ გამოჩენილმა ფსიქიატრმა და პედაგოგმა, ზიგმუნდ ფროიდის თანამებრძოლმა კარლ გუსტავ იუნგმა: „მისი ხმა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი არაცნობიერი, რაშიც გერმანელებმა საკუთარი თავის პროეცირება მოახდინეს; ეს სამოცდაათი მილიონი გერმანელის არაცნობიერია“.

მისი სიტყვების სიღრმეს თითოეული ადამიანი უნდა ჩაუფიქრდეს...

**ბელა გველესიანი**
568 90 18 22





საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001